ნინო მოდებაძე ნინო ნახუცრიშვილი
შორენა ძამუკაშვილი
ანა გიგაური ნათია გაბაშვილი

როგორ დავგეგმოთ პროექტმეთოდით სწავლება

ბროშურა მასწავლებლებისთვის

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო მოდებაძე ნინო ნახუცრიშვილი
შორენა ძამუკაშვილი
ანა გიგაური ნათია გაბაშვილი

როგორ დავგეგმოთ პროექტმეთოდით სწავლება

ბროშურა მასწავლებლებისთვის

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2024

ბროშურა მომზადებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი გრანტით დაფინანსებული პროექტის -„პროექტმეთოდის გამოყენების კვლევა დაწყებითი განათლების საფეხურზე კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების მაგალითზე“ ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს, დაადგინოს ხელისშემშლელი ფაქტორები პროექტმეთოდით სწავლებისას დაწყებითი განათლების საფეხურზე, მოიძიოს მისი გადაჭრის გზები, გამოავლინოს საუკეთესო პრაქტიკა და შეიმუშაოს მასწავლებლებისათვის მეთოდოლოგიური ჩარჩო.

ბროშურა მოიცავს პროექტმეთოდით სწავლების მეთოდურ რეკომენდაციებს და სამუშაო ფურცლებს, სადაც შესაძლებელია ჩანაწერები გაკეთდეს და პროექტი დაიგეგმოს; ასევე, ამა თუ იმ საგანში რამდენიმე მასწავლებლის პროექტებით სწავლების პრაქტიკული გამოცდილების ამსახველ ნიმუშებს, რაც დაეხმარებათ დაინტერესებულ პედაგოგებს, მოდიფიცირება მოახდინონ, ან ახალ იდეებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა საჭიროებებს მოარგონ განსახორციელებელი ნაბიჯები და მხარი დაუჭირონ მათ პროგრესს.

ინტერაქტიული სწავლების ეს სტრატეგია გაკვეთილს უფრო შემოქმედებითს, საინტერესოს და სახალისოს ხდის, ხოლო მოსწავლეს ფუნქციური და დინამიური ცოდნით აღჭურვავს, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მოთხოვნაა.

ბროშურა იქნება ერთგვარი გზამკვლევი სასწავლო პროექტების განხორციელების მხარდასაჭერად.

პროექტების ნიმუშების შინაარსსა და გამოყენებულ რესურსზე პასუხისმგებელია თავად ავტორი (პედაგოგი).

მადლობას ვუხდით ქალბატონ მანანა ბოჭორიშვილს მუშაობის პროცესში გაწეული რეკომენდაციებისთვის და პედაგოგებს, პროექტების განხორციელების პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებისთვის!

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი შორენა ძამუკაშვილი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი

რედაქტორი - პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

© ნ. მოდებაძე, ნ. ნახუცრიშვილი, შ. ძამუკაშვილი,
ა. გიგაური, ნ. გაბაშვილი, 2024

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com
ISBN 978-9941-33-907-3

როგორ დავგეგმოთ პროექტმეთოდით სწავლება

პროექტის ინიციატივა

პროექტმეთოდის გამოყენება გაკვეთილებზე უფრო მეტად მაშინაა ეფექტური, როდესაც პედაგოგი ერთდროულად რამდენიმე ფაქტორს ითვალისწინებს:

- პროექტის შინაარსი და მოსწავლის ასაკი;
- პროექტის აქტივობების დიფერენცირება და მორგება მოსწავლეთა ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ისე, რომ არ შეიცვალოს პროექტის ძირითადი მიზანი და შედეგი;
- მოსწავლეთა იდეების წახალისება.

მოსწავლეებში პროექტის განხორციელების შესახებ ინტერესის აღძვრა, ინიციატივებისა და იდეების წახალისება, ჯგუფის წევრებისათვის გაცნობა, გადასაჭრელი პრობლემის გამოკვეთა, დისკუსიის მოწყობა პროექტის ინიციატივის გარშემო და პროექტის მონახაზის შექმნა, უკვე წარმატებული დასაწყისია. პროექტის შემუშავებისას, უპირველესად, უნდა **შეირჩეს თემა,** რის შესახებაც იქნება პროექტი და მისგან გამომდინარე პროექტის დასახელება, **სათაური.** ცხადია, თემის შერჩევისას უნდა დაზუსტდეს, ის მხოლოდ ერთ საგანს ფარავს, თუ საგანთაშორისი ინტეგრირებით არის საჭირო მისი განხორციელება. ამავდროულად, უნდა დადგინდეს, რამდენად შესაძლებელია კონკრეტული პროექტის განხორციელება არსებულ პირობებში. თემის შერჩევისას გასათვალისწინებელია განხორციელების ხელისშემშლელი რისკები და შეზღუდვები.

პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასწავლებლის მიერ მოტივაციის გაზრდა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

თუ როგორი თემები შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს, გიზიარებთ რამდენიმე მაგალითს:

- ***მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული თემები.***

საყვარელი, ნაცნობი და საინტერესო თემების შეთავაზება ხელს უწყობს დაწყებითი კლასის მოსწავლეებში მოტივაციის აღძვრას ნებისმიერი დავალების ან აქტივობის შესრულებისას. მაგალითად, თუ ბავშვებს უყვართ ცხოველები, ბუნება, ტექნოლოგიები, ხელოვნება, შესაძლებელია, შევთავაზოთ თემები:

- **ჩემი საყვარელი ცხოველები -** მოსწავლეები იმუშავებენ ცხოველების კვების, გამრავლების, ბინადრობის, საარსებო გარემოსა თუ მოვლის/გაფრთხილების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და მასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროდუქტის (მაგალითად: ვიზუალური (ნახატი, დიორამა, პლაკატი), ვირტუალური დაცული ტერიტორიების მოწყობა ცხოველების დაცვისა და გამრავლების ხელშეწყობის მიზნით) შექმნაზე.
- **დაგეგმეთ ჩვენი სკოლის ბაღი** - ისინი იშვიათი, წითელ წიგნში ან წითელ ნუსხაში შესული ენდემური მცენარეებიდან შეარჩევენ, თუ რა მცენარეები და ყვავილები იქნება სასურველი სკოლის ეზოს გასამწვანებლად. დაგეგმავენ და შექმნიან ტექნოლოგიების გამოყენებით. ხელოვნების გაკვეთილებზე დაამზადებენ სკოლის ეზოში შექმნილი ყვავილების ბაღის მაკეტებს.

- ***მოხალისეობრივი და მხიარული აქტივობები.***

თემები, რომლებიც მოიცავს შემოქმედებას და გართობას, ყველაზე ხშირად იწვევს მოსწავლეების ინტერესს და ახალისებს მათ ჩართულობას. მაგალითად:

- **ხელნაკეთი ნამუშევრები** - ბავშვებს შეუძლიათ ნაირგვარი მასალისაგან (პოლიეთილენი, პლასტმასი, ქაღალდი, ხის ხმელი ნაწილები და ა.შ.) საკუთარი ხელით შექმნან ნამუშევრები, რომლებიც ასახავს მათ იდეებს სხვადასხვა საკითხთან (საშობაო, სააღდგომო თემატიკა, დედამიწის დღე, დედის დღე) დაკავშირებით.
- **მუსიკალური პროექტები** - მათ შეუძლიათ, შეაგროვონ მონაცემები მათ თემში პოპულარული, ფოლკლორული, მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ ან გააკეთონ ფოლკლორული მუსიკალური ჩანაწერები, ან განახორციელონ ასეთი ჩანაწერებიდან მონტაჟი.

➢ ***რეალურ ცხოვრებაში გადასატანი იდეები:***

- **მწვანე ბაღი სკოლაში -** მოსწავლეებს საშუალება აქვთ, რეალურად იზრუნონ ბუნებაზე - დაამკვიდრონ სკოლის ნაკვეთში სხვადასხვა საგაზაფხულო და საშემოდგომო დღესასწაულების აღსანიშნავად ხის დარგვის ტრადიცია დარგონ ნარგავები ან მოუარონ მათ. ისწავლონ, როგორ შეიძლება მოექცნენ პასუხისმგებლობით ბუნებას და იზრუნონ მასზე.
- **თემის/სოფლის მხარდაჭერა -** მოსწავლეთა ჯგუფებმა, შესაძლოა, სხვადასხვა საკითხზე იმუშაონ სოფელში/თემში არსებული პრობლემების გადაჭრასთან (საჭირო ინფორმაციის გავრცელება, თავშეყრის ადგილებზე მარტივი საინფორმაციო განთავსება) დაკავშირებით.

➢ ***შეკითხვები გამოწვევებთან და საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით:***

მოსწავლეებს შეიძლება დავუსვათ შეკითხვები, რომლებიც წაახალისებთ მათ იდეებს პრობლემების გადჭრასთან დაკავშირებით.

- **როგორ შეიძლება დავიცვათ გარემო მავნე ზემოქმედებებისგან?**
- **რა გზებით შეიძლება გაუმჯობესდეს ჩვენი სკოლის გარემო?**
- **როგორ გავუფრთხილდეთ ბუნებას/დედამიწას**?
- **რა იცით კლიმატის ცვლილების შესახებ?**
- **როგორ ვეხმარებით ჩვენს საზოგადოებას?**

➢ ***ვიზუალური მასალის გამოყენება.***

- ასევე შესაძლებელია ვიზუალური მასალების (მაგალითად: სტიკერები, დაფები, აფიშები და სხვა.) გამოყენება იდეების გენერირებისთვის, რა დროსაც მასწავლებლები აქტიურად უნდა უზრუნველყოფდნენ მოსწავლეების წახალისებას.

იდეები მოსწავლეების ინტერესსა და საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს, რათა უფრო ბუნებრივი იყოს მათი პროექტში ჩართვა. მნიშვნელოვანია, მათ იცოდნენ, რომ ნებისმიერი იდეა და პროექტი უნიკალური და ღირებული იქნება.

რაც შეეხება **პროექტის დასახელებას**, **სათაურს,** ის უნდა იყოს ლაკონური და ორიენტირებული პროექტის მიზანზე, ამავდროულად, შესაბამისობაში პროექტის შინაარსთან. არ არის რეკომენდებული, პროექტის სათაური იყოს დიდი წინადადებით ჩამოყალიბებული და მრავალ პუნქტზე მიმართული.

სცადეთ და დაიწყეთ სამუშაო ფურცლებზე პროექტზე დაფუძნებული სწავლების დაგეგმვა.

სამუშაო ფურცელი

მოიფიქრეთ თემები და გამოკვეთეთ მოსწავლეთა ინტერესები, რითაც დაინტერესდებოდნენ თქვენი მოსწავლეები. მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ გადასაჭრელი პრობლემაც.

ინტერესი	თემა	პრობლემა
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---
---	---	---

შეარჩიეთ იდეა პროექტის (პრობლემის გადაჭრის) განსახორციელებლად ----------

დაასათაურეთ პროექტი ----------

პროექტის დაგეგმვა

სასკოლო პროექტი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- დაგეგმვა
- განხორციელება
- შეფასება

პირველ ეტაპი, **დაგეგმვა,** არის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, რადგან პროექტის წარმატება ძირითადად სწორ დაგეგმვაზეა დამოკიდებული. ეს ეტაპი ფაქტობრივად არის ფუნდამენტი, რომელიც განსაზღვრავს პროექტის ძირითად კომპონენტებს: მიზანი და მისგან გამომდინარე ამოცანები, საჭირო რესურსები, განხორციელების ეტაპები და დრო, შედეგები, გამოწვევების, რისკების, შეზღუდვების გამოვლენა, რაც შესაძლოა ახლდეს პროექტის განხორციელებას.

მას შემდეგ, რაც დადგინდება პროექტის თემა, დასახელება, უნდა ჩამოყალიბდეს პროექტის მიზანი და დადგინდეს ვადებიც, რა დროშიც არის საჭირო და შესაძლებელი ამ მიზნის მიღწევა. ეს სწორი გათვლებით უნდა განხორციელდეს, რადგან სასკოლო პროექტს აქვს გარკვეული შეზღუდვები დროის თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ იწყება პროექტის გეგმის შედგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

- პროექტის ამოცანების, მათი განხორციელების თანმიმდევრული ეტაპების, ვადების შესახებ,
- პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ,
- პროექტში ჩართული სავარაუდო ადამიანური რესურსის შესახებ.
- გუნდის წევრთა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და მათი ფუქციების შესახებ; პროექტში ჩართულმა ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს კონკრეტულად რისი გაკეთება ევალება და რა დროში. რა რესურსი შეუძლია გამოიყენოს და რა ვალდებულებები აკისრია პროექტის ეფექტურად განსახორციელებლად.

პროექტის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მიზნების დასახვასა და, შესაბამისად, ამოცანების შემუშავებასთან, რაც სწორ ორიენტირს იძლევა იმის შესახებ, თუ რა გვსურს, რისი მიღწევა პროექტის განხორციელებით. ფაქტობრივად, კარგად ჩამოყალიბებული მიზანი და განსაზღვრული ამოცანები ნათელყოფს პროექტის განხორციელების არსს და გზებს, გეზს აძლევს კონკრეტული აქტივობების განხორციელების ძირითად მიმართულებას.

რა არის მიზანი და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს?

პროექტის მიზანი ასახავს იმ „პროდუქტს“, მდგომარეობას, რომლის მიღწევა, მიღებაც გვსურს პროექტის განხორციელების შედეგად და ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს იმ საკითხს, პრობლემას, რომლის გადაწყვეტას, მოგვარებასაც ემსახურება პროექტი. მიზნების ჩამოყალიბებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის რეალობა, პირობები, გარემო, სადაც გვსურს პროექტის განხორციელება, რათა შესაძლებელი იყოს ამ პირობებში დასახული მიზნების განხორციელება. ამდენად, მიზანი პასუხობს კითხვას: რისი მიღწევა, რისი შექმნა

გვსურს პროექტის განხორციელებით?

მიზანი არის გრძელვადიანი, ანუ მისი მიღწევა თანამიმდევრულად ხდება პროექტის განხორციელების მთელი პროცესის განმავლობაში და ბოლო შედეგს ვიღებთ პროექტის დასასრულს.

როგორ ჩამოვაყალიბოთ მიზნები?

უპირველესად, ნათლად უნდა გავიაზროთ ის პრობლემა, საკითხი რისი გადაწყვეტაც გვსურს. შემდეგ კი ის, რისი მიღწევაც გვსურს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ არსებულ პირობებში, არსებული რესურსებით (როგორც მატერიალური, ისე ადამიანური) შეგვიძლია თუ არა ჩვენი სურვილის განხორციელება, არის თუ არა იგი მიღწევადი? მიზნების ჩამოყალიბების პროცესი იერარქიულად შესაძლოა ასე ჩამოვაყალიბოთ:

- ✓ ვაყალიბებთ პრობლემას,
- ✓ გამოვკვეთავთ, რა გვსურს მივიღოთ მისი გადაწყვეტით, ანუ, რა მდგომარეობა, რა „პროდუქტი“,
- ✓ ვიაზრებთ გარემოპირობებს, არსებულ ხელმისაწვდომ რესურსებს, დროის ლიმიტს და მათი გათვალისწინებით „სურვილებიდან“ გამოვყოფთ ყველაზე მიღწევადს და მნიშვნელოვანს და/ან „ვამსხვილებთ“ ერთ-ორ უფრო მნიშვნელოვან რეალურ მიზნებად,
- ✓ კიდევ ერთხელ გადავაკონტროლებთ და ვამოწმებთ არსებული პირობების, საშუალებების და მისაღწევი შედეგების ურთიერთკავშირს და ბოლო სახით ვაყალიბებთ მიზანს/მიზნებს.

სასწავლო პროექტის მიზანი შესაბამისობაში უნდა იყოს განათლების ეროვნულ მიზნებთან, ესგ-თან და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი. სასურველია, დავიცვათ ზომიერება მიზნების ჩამოყალიბებისას. ზოგჯერ სწორად ვერ ხდება ზუსტი მიზნების განსაზღვრა და ხდება მათი „ჭარბად“ ჩამოყალიბება. მისაღებია, ეს რაოდენობა დავიყვანოთ 1-2 მიზანზე. მიზანი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად, მკაფიოდ და სასურველია აგებული იყოს ე.წ. SMART კონცეფციაზე, რაც გულისხმობს შემდეგს:

- **S** - Specific (სპეციფიკური, კონკრეტული)
- **M** - Measurable (გაზომვადი)
- **A** - Achievable (მიღწევადი)
- **R** - Relevant (რელევანტური)
- **T** - Time-bound (დროში განსაზღვრული)

ამდენად, მიზნები უნდა იყოს უფრო ზოგად მიზნებზე ორიენტირებული, მაგრამ კონკრეტულად და ნათლად ჩამოყალიბებული. მაგ.: „ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა განვითარებას“, უკეთესია, დაკონკრეტდეს: „ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა შემეცნებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას“.

მიზანი უნდა იყოს გაზომვადი, ანუ შესაძლებელი პროექტის განხორციელებისას პროგრესის გაზომვა, იმის დადგენა, რომ მიზანი მიღწეულია და ნათელი იყოს, თუ როგორ დავადგენთ ამას.

რაც შეეხება მიღწევადობას, მიზანი უნდა იყოს არა „სურვილზე“ დამყარებული, არამედ რეალური, განხორციელებადი იმ რესურსებითა და პირობებით, რაშიც გვიწევს პროექტის განხორციელება.

აუცილებელია, მიზნები შესაბამისობაში იყოს უფრო ფართო მიზნებთან, კონკრეტული საგნის სწავლებისა თუ, ზოგადად, სწავლის მიზნებთან და იყოს რეალურად განხორციელებადი.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყველა, ისე სასწავლო პროექტის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია დროის სწორი მენეჯმენტი,

დროის ზუსტად განსაზღვრა. ამიტომ მიზნები უნდა იყოს დროში განსაზღვრული და შეზღუდული. თავიდანვე მკაცრად განისაზღვროს და შესაბამისად იქნეს დაცული პროექტის განხორციელების ვადები.

დასახელებული მოთხოვნებით ჩამოყალიბებული მიზნები ქმნის იმის რეალურ საფუძველს, რომ მკაფიოდ, ნათლად ჩამოვაყალიბოთ პროექტის ამოცანები. ამოცანები განსაზღვრავს იმ გზებს, ხერხებს, რითაც მიიღწევა პროექტის მიზანი/მიზნები. ყოველი მიზნის შესაბამისად გამოიკვეთება კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხოციელებაც უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას. ამდენად, ამოცანები პასუხობს შეკითხვას: როგორ, რა გზით, რა ხერხით უნდა მივაღწიოთ მიზანს? კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა განსაზღვრავს კონკრეტული ეტაპის დასრულებას, რომლის შედეგიც შესაბამისობაშია მიზანთან. ამდენად, კონკრეტული ამოცანა ემსახურება მიზნის გარკვეული დოზით მიღწევას კონკრეტულ ეტაპზე, ხოლო ყველა ამოცანის გადაწყვეტით სრულად მიიღწევა მიზანი; ამიტომ ამოცანები უნდა ჩამოვაყალიბოთ ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვიყვანს მიზნის მიღწევამდე. კონკრეტული მიზნის მისაღწევად საკმარისია მაქსიმუმ 3-4 ამოცანის დასახვა. ისევე როგორც მიზნის შემთხვევაში, ამოცანების დროსაც სასურველია, ვისარგებლოთ ე.წ. SMART კონცეფციით.

მაგალითად, თუ პროექტი მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის კვლევა-ძიებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც სოფლის ისტორიული ძეგლის შესახებ ხალხური ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მოძიებით მიიღწევა, ამოცანები იქნება შემდეგი:

1. კონკრეტული ისტორიული ძეგლის შესწავლა;
2. ამ ძეგლის შესახებ მოსახლეობაში გავრცელებული ხალხური ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მოძიება;
3. მოპოვებული მასალების ანალიზი, დამუშავება და ერთ მთლიან „კრებულად“ შეკრება, გაფორმება.

რაც შეეხება აქტივობებს, აქტივობები წარმოადგენს ცალკეულ პუნქტებად ჩაშლილ თანამიმდევრულ და კონკრეტულ ქმედებებს, რაც მთლიანობაში კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად არის გამიზნული.

მაგალითად, ზემოთ მითითებული 1-ელი ამოცანის - „კონკრეტული ისტორიული ძეგლის შესწავლა“, შესაბამისი აქტივობები იქნება:

- კონკრეტული ისტორიული ძეგლის შესახებ ინფორმაციის მოძიება წყაროებიდან, ინტერნეტი, ლიტერატურა და ა. შ.;
- მოძიებული წყაროების დამუშავება და საჭირო მასალის ამოკრეფა;
- ძეგლის შესახებ ყველა ისტორიული ფაქტის თავმოყრა, სისტემაში მოყვანა.

რაც შეეხება მე-2 ამოცანას - „ამ ძეგლის შესახებ მოსახლეობაში გავრცელებული ხალხური ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მოძიება“, მისი შესაბამისი აქტივობები იქნება:

- სოფლის მოსახლეობის იმ პირების დადგენა, ვისაც შეუძლია ძეგლის შესახებ ხალხური ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მოწვდა. ასაკოვანი მოსახლეობის გამოკითხვა, სიის დაზუსტება;
- იდენტიფიცირებული პერსონებისგან შესაბამისი საჭირო ინფორმაციის მიღება, ინფორმაციის ჩასაწერად საშუალებების მომზადება (მიკროფონი, ტელეფონი, კალამი, რვეული და ა. შ.), ფოტომასალების მომზადება და ყველა საჭიორო ფაქტის დაფიქსირება;
- მიღებული ინფორმაციის დახარისხება, დასისტემება ჟანრის (ლექსი, თქმულება, ბალადა, და ა. შ) და თემატიკის მიხედვით.

ამოცანა მე-3 - „მოპოვებული მასალების ანალიზი, დამუშავება და ერთ მთლიან „კრებულად“ შეკრება, გაფორმება, მოიცავს აქტივობებს:

- მოპოვებული ისტორიული ინფორმაციის შესაბამისი ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის თანდართვა, თემატურად მოწესრიგებს და გაფორმება;
- ნახატების, ანიმაციების, ილუსტრაციების შექმნა და სურათების მოძიება კონკრეტულ თემასთან კავშირში;
- მოპოვებული და შექმნილი მასალების დასიტემება და ერთ მთლიან „კრებულად“ წარმოდგენა ელექტრონული/ ხელნაწერის სახით.

- პრეზენტაციის მომზადება განხორციელებულ საქმიანობასთან კავშირში.

სქემატურად მიზნების ამოცანების და აქტივობების კავშირი შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგი სახით



სამუშაო ფურცელი

მიუთითეთ მოსალოდნელი შედეგები საგნობრივი სტანდარტიდან.

შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	სამიზნე ცნებები

ჩამოწერეთ პროექტის მიზნები, ამოცანები და აქტივობები.

მიზნები	ამოცანები	ვადები	აქტივობები
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---
---	---	---	---

მიუთითეთ რა იქნება საბოლოო პროდუქტი ----------

საკლასო გარემო

გაკვეთილზე პროექტმეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია, ერთდროულად მივაღწიოთ რამდენიმე მიზანს:

- გავაფართოვოთ ბავშვების აზროვნების ჰორიზონტი;
- გავაერთიანოთ შესწავლილი მასალა;
- შევქმნათ სადღესასწაულო ატმოსფერო გაკვეთილზე;
- საკლასო ოთახის კედლებზე მოვაწყოთ მოსწავლეთა შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენა.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოითხოვს ავთენტურ, რეალურ სიტუაციაზე აგებულ საკლასო გარემოს. აუცილებელია, მერხები და მაგიდები სათანადოდ იყოს გადანაწილებული, რათა პროექტში მონაწილე ბავშვები კომფორტულად მოთავსდნენ. რესურსების შერჩევა დამოკიდებულია თავად პროექტის თემაზე.

დაწყებითი კლასის მოსწავლეებში სოციალიზაციის უნარის განსავითარებლად ძალიან კარგად მუშაობს კონსტრუქტორები, ლეგოს ტიპის ასაწყობები. ისინი ავითარებენ გონებრივ შესაძლებლობებს, ფერების აღქმას, ერთმანეთთან ურთიერთობას.

პროექტში გათვალისწინებული შესაქმნელი პროდუქტები, ცოდნის დემონსტრირების ფორმები მრავალფეროვანია და გათვლილია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. ერთ-ერთი უნარი, რომელსაც პროექტზე დაფუძნებული სწავლება უვითარებს მოსწავლეებს, არის პრეზენტაციის უნარი. ციფრული და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს პროექტის თემის საფუძვლიანად ათვისებას. პეზენტაციის კარგად წარმოჩენისათვის კი აუცილებელია საკლასო ოთახში გვქონდეს კარგად გამართული კომპიუტერი და პროექტორი. ზოგი პროექტი მოითხოვს პრეზენტაციის ფორმატზე გადატანას, ამიტომ საჭიროა ფერადი ფანქრები/ფლომასტერები წებო, ფორმატის ქაღალდი, მუყაო, ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, წებოვანი ლენტი, ქაღალდის წებო, პლასტელინი და სხვა. საჭირო რესურსი შეირჩევა თემატიკიდან გამომდინარე, მასწავლებელი და სკოლა კი ვალდებულია, შესაბამისი რესურსით უზრუნველყონ თავიანთი მოსწავლეები.

ვინაიდან პროექტის განხორციელებისას მოსწავლეებს ხშირად უწევთ ინტერვიუს აღება, მოსწავლეები ატარებენ გამოკითხვას, აანალიზებენ შეგროვილ ინფორმაციას; შესაბამისად, საჭიროა, საკლასო ოთახში იყოს მიკროფონი, ხმის ჩამწერი აპარატი და ამ პროცედურისათვის საჭირო ატრიბუტები.

ძალიან კარგი ტენდენციაა, როდესაც საკლასო ოთახში მასწავლებელი აწყობს პატარა სივრცეს, სცენას, საიდანაც ბავშვების კონკრეტული ჯგუფი მიმართავს კლასს და წარადგენს პროექტს. საკლასო ოთახში რესურსების კუთხის და დამოუკიდებელი სამუშაო სივრცის მოწყობა წარმატებული შედეგების წინაპირობაცაა.

- **რესურსების კუთხე** - თავმოყრილია უახლესი ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალა, რაც მოსწავლეს დაეხმარება პროექტზე მუშაობისას. რესურსების კუთხეში შესაძლებელია იყოს წინა წლებში შექმნილი პროექტების მასალებიც.
- **დამოუკიდებელი სამუშაო სივრცე** - ყველა მოსწავლეს, სასურველია, ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი სივრცე, ინდივიდუალური, უწყვეტ ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერით, სადაც შეძლებს დამოუკიდებლად მოიძიოს სხვადასხვა ინფორმაცია.

სამუშაო ფურცელი

ჩამოწერეთ, რა რესურსი დაგჭირდებოდათ პროექტის განხორციელებისას და როგორ მოაწყობდით საკლასო გარემოს.

სასწავლო სტრატეგიები და მეთოდები

სასწავლო სტრატეგიები და მეთოდები ის მთავარი კომპონენტებია, რომლებიც პროექტის წარმატებას უზრუნველყოფენ. როგორი სტრატეგიები და მეთოდები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა პროექტმეთოდით სწავლებისას? დაწყებით საფეხურზე პროექტმეთოდით სწავლება ერთ-ერთი მთავარი გზაა მოსწავლეებში შემოქმედებითი, კვლევითი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარების და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის. მთავარი აქსიომაა, მოსწავლე იყოს აქტიური და ჩართული სასწავლო პროცესებში, რასაც სწორად დაგეგმილი მეთოდებისა და სტრატეგიების მეშვეობით შეძლებს მასწავლებელი. ინტერაქტიული მეთოდების მიზანმიმართული გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას, ამაღლებს მათ მოტივაციას, ჩართულობას, ხოლო სწავლას ხდის უფრო სახალისოს და საინტერესოს.

გთავაზობთ რამდენიმე ეფექტურ მეთოდსა და სტრატეგიას, რაც შეიძლება დაწყებით კლასებში გამოიყენოს მასწვალებელმა პროექტზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებისას:

- **მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები** - ვიწყებთ საინტერესო და მკაფიო შეკითხვით ან პრობლემის დასმით. ეს იქნება მამოძრავებელი შეკითხვა კვლევისათვის.
- **მოსწავლის არჩევანი -** მოსწავლეებს ვაძლევთ თემის, იდეის ან პროექტის სხვა ასპექტების არჩევანის საშუალებას.
- **ჯგუფური მუშაობა** - მოსწავლეები მუშაობენ გუნდებად სხვადასხვა ამოცანის შესრულებაზე. შესაძლებელია, ეს იყოს იდეების შემუშავება, პრობლემების გადაჭრის ძიება ერთობლივად და სხვა. მნიშვნელოვანია, წავახალისოთ მათი მცირე ჯგუფებში მუშაობა, რათა ხელი შეეწყოს მოსწავლეებში კომუნიკაციისა და სოციალური უნარების განვითარებას.
- **თანატოლებთან გამოხმაურება -** მოაწყეთ ჯგუფებთან შეხვედრები, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა და მიღება, კერძოდ, ერთმანეთის იდეების, პროექტების შეფასება.
- **შეკითხვები და დისკუსიები** – შეუქმენით სივრცე კითხვების დასასმელად, რათა ბავშვები უფრო ჩაუღრმავდნენ თემას.
- **დროში გაწერილი ეტაპები** - პროექტის თითოეული ეტაპის განხორციელებას განუსაზღვრეთ დრო. ეს დაეხმარება მოსწავლეებს შედეგებზე ფოკუსირებასა და დროულად გადაწყვეტაში.
- **პრაქტიკული სწავლება** - ჩართეთ პრაქტიკული აქტივობები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს უშუალოდ ჩაერთონ პროცესებში, როგორიცაა: კვლევითი ექსპერიმენტები/ცდები, თემასთან დაკავშირებული ვირტუალური მუზეუმის ან ისტორიული ადგილების მონახულება, სკოლის ეზოს გამწვანება/მოვლა.
- **ტექნოლოგიების ინტეგრაცია -** საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა ტაბლეტები ან ინტერაქტიული დაფები, სწავლისა და თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, ციფრული წიგნიერების ხელშეწყობა, კონკრეტული საკითხის ირგვლივ ინფორმაციის მოძიება.
- **თვითშეფასების/რეფლექსიის დღიურის წარმოება -** ვასწავლოთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ საკუთარი სწავლის პროცესზე, პროგრესზე

და წავახალისოთ, რომ აწარმოონ ჩანაწერები დღიურში.

- **შეფასების მეთოდოლოგია** - პროექტზე მუშაობისას, მოსწავლის სწავლის შესაფასებლად, გამოიყენეთ შეფასების სხვადასხვა საშუალება, როგორიცაა: პრეზენტაციები, პორტფოლიოები და თვითშეფასებები.
- **პროგრესის შეფასება** - გააკეთეთ რეგულარული შეფასებები, რათა მოსწავლეებს დაეხმაროთ სწორი მიმართულებით მუშაობაში. შეფასება უნდა გატარდეს ყოველ ეტაპზე, რათა გამოვავლინოთ თითოეული ბავშვის ხელთ არსებული შედეგი.
- **პროექტის ბოლო შეფასება** – როდესაც პროექტი სრულდება, შეიძლება, მოხდეს შეფასება, როგორც მასწავლებლის მიერ, ასევე ბავშვების მიერ, მაგალითად, მოსწავლეებმა, შესაძლოა, განახორციელონ თვითშეფასება პროექტის დასრულებისას.
- **საზოგადოების/ადგილობრივი თემის ჩართულობა** - მოიწვიეთ თემის ან საზოგადოების წევრები, პროფესიონალები, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან პროექტის თემასთან, რათა მოსწავლეებს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება.
- **სკაფოლდინგი** - თავიდან გაუწიეთ მოსწავლეებს სტრუქტურირებული დახმარება პროექტის განხორციელებაში, ხოლო შემდგომ მიეცით თანდათანობით მეტი დამოუკიდებლობა.
- **მიღწევების პრეზენტირება -** მოაწყეთ შეხვედრები, სადაც მოსწავლეები შეძლებენ თავიანთი პროექტების წარდგენას თანატოლების, მშობლებისა და საზოგადოების წინაშე.
- **Brainstorming (იდეების გენერაცია) -** პროექტის მიზნის შეთავაზება, დისკუსია და იდეების გენერირება, განხილვა.
- **კვლევა და ანალიზი -** მოსწავლეები ატარებენ საკითხის მოკვლევას კონკრეტულ თემაზე, იყენებენ წიგნებს, ინტერნეტს ან ეკოლოგიურ სივრცეებს; შემდეგ კვლევის შედეგებს აანალიზებენ და აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებებს.
- **როლების განაწილება და პასუხისმგებლობის გაზიარება -** თითოეულ ჯგუფს გააჩნია საკუთარი “ როლი”, მაგალითად, ერთი ძიებაშია, მეორე - დიზაინს აკეთებს, მესამე კი თვლის მონაცემებს და ა.შ. სამუშაო პროცესში შეიძლება როლების შეცვლა, რათა ბავშვებმა მთლიანობაში გაიზიარონ პასუხისმგებლობა.

ამ სტრატეგიებისა და მეთოდების კომბინაციით პედაგოგებს შეუძლიათ შექმნან პროექტის განხორციელებისთვის დინამიური და მიმზიდველი სასწავლო გარემო.

სამუშაო ფურცელი

ჩამოწერეთ შერჩეული სტრატეგიები და მეთოდები, რომელსაც გამოიყენებდით.

პროექტის შეფასება

მოსწავლეთა სწავლის პროცესის და შედეგების შეფასება ხელს გვიწყობს იმის გაგებაში, თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს პროექტი და როგორი მხარდაჭერა სჭირდებათ მოსწავლეებს. გასათვალისწინებელია, მიზნები და შედეგები ნათლად იყოს გამოკვეთილი, რომ მოსწავლეებისთვისაც ცხადი იყოს, რას უნდა მიაღწიონ და მასწავლებელსაც არ გაუჭირდეს შეფასება. ზოგადად, პროექტის მიმდინარეობისას შეფასება სასურველია კვირაში ერთხელ ან აქტივობების დასრულებისას.

რეკომენდებულია მასწავლებელმა გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს პედაგოგს:

- დაინახოს, თუ რამდენად სწორად მიდის მოსწავლე მიზნისკენ და რა ეტაპზეა ის კონკრეტული მომენტისთვის;
- დაგეგმოს დრო სწორად. მისთვის ნათელი ხდება კონკრეტული დავალებისთვის რა დრო შეიძლება დასჭირდეს მოსწავლეს;
- უზრუნველყოს უკუკავშირი და მოსწავლეს მისცეს სწორი მიმართულება.
- აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასება მნიშვნელოვანია თავად მოსწავლეებისთვისაც. მაგალითად, ამ ტიპის შეფასება მოსწავლეებს წარმოდგენას უქმნის მათი საწავლის პროცესზე;
- ნათლად აჩვენებს პროექტის მიმართულებას მიზნისკენ.
- მოსწავლეები ხედავენ სწორ გზას ადგანან თუ არა;
- საშუალებას აძლევს დაინახონ, თუ რა აქტივობების განხორციელებაა საჭირო იმისათვის, რომ მათი პროექტი გაუმჯობესდეს.

შეფასების კომპონენტები შესაძლებელია იყოს:

- პროდუქტის გამართულობა,
- პროექტის შექმნაში ჩართულობა,
- პრეზენტაბელურობა.

შეფასების მიზნით, შესაძლებელია, გამოვიყენოთ წინასწარ შედგენილი რუბრიკები. მათი შექმნის პროცესში პედაგოგს შეუძლია მოსწავლეების ჩართვაც. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, ნათლად წარმოიდგინონ შეფასების კრიტერუმები. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში მნიშვნელოვანია იმის დანახვა, თუ რა უნარ-ჩვევებს უვითარებს მოსწავლეებს პროექტი, ან რა ტიპის ცოდნა უნდა შესძინოს მათ. კრიტერიუმები შეიძლება მოიცავდეს შინაარს, კვლევის ხარისხს, ორგანიზებულობას, წარმოდგენას და ა.შ. თითოეული კრიტერიუმის მიღწევის ხარისხობრივი დონე შესაძლებელია განსაზღვროს ქულებით ერთიდან ათამდე, თითოეულ ხარისხობრივ დონეს რუბრიკაში უნდა განესაზღვროს მიღწევის დონის აღწერილობა.

მნიშვნელოვანია, მასწავლებლის უკუკავშირის როლი ამ პროცესში. სასურველია, მას ჰქონდეს ხშირი ხასიათი, რათა მოსწავლეებს მივცეთ სწორი მიმართულება და ხელი შევუწყოთ საბოლოო პროდუქტის წარმატებით წარმოდგენაში. პროექტის დასრულების დროისთვის შესაძლებე-

ლია, მასწავლებელმა მოსწავლეებს გადასცეს წინასწარ ერთობლივად შემუშავებული რუბრიკა და მისცეს მათ საშუალება, თავად შეაფასონ პროექტის შედეგები და სწავლის პროცესი. პროექტის დასასრულს პედაგოგს შეუძლია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებაც.

სასურველია, შეფასების დასაწყისში აღინიშნოს მოსწავლეების მიერ დადებითად, კარგად წარმოდგენილი სამუშაო. მაგალითად, საუბარი დავიწყოთ შემდეგნაირად:

- მე ძალიან მომეწონა თქვენ მიერ ....
- მე აღფრთოვანებული ვარ...
- არ შემიძლია დადებითად არ შევაფასო...

შეფასებისას სასურველია, აღინიშნოს პროექტის გაუმჯობესების გზებიც. ამრიგად, პროექტზე დაფუძნებული სწავლების შეფასებისას არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ საბოლოო პროდუქტის შეფასებით. მას უნდა ჰქონდეს ხშირი ფორმა და კომბინირებული ხასიათი. სასურველია, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღველი შეფასების გამოყენება.

სამუშაო ფურცელი

შეიმუშავეთ რუბრიკა. განსაზღვრეთ კრიტერიუმები, ხარისხობრივი დონეები ქულების სახით და აღწერეთ მიღწევის დონეები.

კრიტერიუმები	X ქულა	X ქულა	X ქულა	X ქულა

პროექტების ნიმუშები

N 1. თემა: მცენარის ზრდა -განვითარება

სკოლა:	**სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ: ძველი ანაგის საჯარო სკოლა**
საფეხური/კლასი:	**დაწყებითი, II კლასი**
საგანი/საგნები:	**ბუნებისმეტყველება, მათემატიკა**
პროექტის ხელმძღვანელი პედაგოგი/პედაგოგები:	**ძველი ანაგის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის წამყვანი მასწავლებელი:** **ლია ჯალიაშვილი**
პროექტის დასახელება	**„პატარა მებაღეები"**
პროექტის განხორციელების დრო	45 წთ.-იანი 12 გაკვეთილი (6 კვირა)
პრობლემის/თემის აქტუალობის განსაზღვრა	მას შემდეგ, რაც ვისწავლეთ ბუნებისმეტყველებაში თემა: „მცენარეები და მათი ნაწილები", ბავშვებს დააინტერესათ, როგორ ხდება სხვადასხვა მცენარის აღმოცენება, ყველა მცენარე ერთდროულად ამოდის თუ არა, როგორ ხდება თესლის გაღივება და ა. შ. ამიტომ გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა სასწავლო პროექტი და დავკვირვებოდით თესლიდან მცენარის აღმოცენების, ზრდის და განვითარების პროცესებს. დათესვის დროს შერჩეული გვქონდა ზოგიერთი გამჭვირვალე ჭურჭელი, რათა ფესვთა სისტემა კარგად გამოჩენილიყო. თემა **აქტუალურია,** რადგან ბავშვები პატარები არიან და მცენარეთა ზრდა-განვითარების შესახებ მწირ ინფორმაციას ფლობენ.
მიზნები	**ოცდამეერთე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება:** **კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა** • დაკვირვების, ანალიზის, მსჯელობის, მონაცემთა შეგროვების, აღრიცხვის, შედარების, დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების გამომუშავება. **ციფრული წიგნიერება** • ტექნოლოგიის გამოყენება, როგორც ინფორმაციის ძიების, კომუნიკაციის და ნამუშევრების წარდგენის საშუალება. **სასიცოცხლო და კარიერული უნარ-ჩვევები:** **მოქნილობა და ადაპტაცია** • ურთიერთთანამშრომლობის უნარ-ჩვევები • ინფორმაციის გაზიარების უნარები • ტრანსფერის უნარები

კავშირი საგნობრივ სტანდარ-ტებთან /მოსალოდნელი შედე-გები	მიმართულება: ცოცხალი სამყარო ბუნ.II.1. მოსწავლეს შეუძლია მცენარის და ცხოველის სხეულის ძირითადი ნაწილების აღწერა. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • თვალსაჩინოებაზე ამოიცნობს და ასახელებს ორგანიზმის ძირითად ნაწილებს, გამოთქვამს აზრს მა-თი ფუნქციის შესახებ; • თვალსაჩინოებაზე ამოიცნობს სხვადასხვა ორგანიზმის ერთნაირი ფუნქციის მქონე ნაწილებს; • აგროვებს მასალას (მაგ., ჰერბარიუმი, ილუსტრაციები), ავლენს მცენარეებისა და ცხოველების ორ-განიზმის ძირითადი ნაწილების მრავალფეროვნებას და აკეთებს კოლაჟს; • მოსწავლე აღწერს სხვადასხვა მცენარეს შორის არსებულ მსგავსებას და განსხვავებას (მაგ., ერთი ან სხვადასხვა სახეობის მცენარის ფოთლების ფორმა და ზომა, ყვავილების გვირგვინის ფურცლების რაოდენობა, ნაყოფებში თესლების რაოდენობა). ბუნ.II.2. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს ზრდა, როგორც ცოცხალის თვისება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ორგანიზმის ზრდისთვის აუცილებელი პირობების (მაგ., წყალი, საკვები, საბინადრო გარემო) გამო-სავლენად სვამს კითხვებს (მაგ., რა დაემართება ქოთნის მცენარეს თუ იშვიათად მოვრწყავთ? რა დაემართება ზაზუნას თუ შევუმცირებთ საკვებს?) და ეძებს პასუხებს; • მოიპოვებს მასალას ზრდის პროცესის საილუსტრაციოდ (მაგ., სხვადასხვა დროს გადაღებული ფო-ტოსურათები); • აკვირდება და აღწერს მცენარეების ზრდის პროცესს (მაგ., ხორბლის აღმონაცენის სიმაღლის მატე-ბა), წერილობით აღრიცხავს მონაცემებს; • ადარებს და აღწერს ზრდის პროცესში მომხდარ ცვლილებებს (მაგ:ზომის, ფერის ცვლილება); მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები მათ. II.2. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს თვლა, რიცხვები, რიცხვით სახელებს შორის და-მოკიდებულებები და შეკრება-გამოკლების მოქმედებები. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ახდენს შეკრება-გამოკლების დემონსტრირებას მოდელის გამოყენებით, დაადგენს მოქმედების შე-დეგს (მაგალითად,"რამდენით გაიზარდა, შემცირდა?");

	მათ. II.4. მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს და შეადაროს რაოდენობები 100-ის ფარგლებში. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ირჩევს ხერხს და აფასებს ("დაახლებით ტოლია", "დაახლოებით ნახევარია/ორმაგია") და ადარებს რაოდენობებს. განსაზღვრავს მათ შორის განსხვავებას ("რამდენით მეტი/ნაკლები?", "ტოლი", "ორჯერ მეტი/ნაკლები"); **მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა** მათ. II.10. მოსწავლეს შეუძლია ფიგურათა ზომების შედარება და დადგენა. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ურთიერთშეთავსებით ადარებს ფიგურათა წრფივ ზომებს და გამოხატავს შედარების შედეგს შესაბამისი ტერმინებით (მაგალითად, გრძელი, მოკლე, ტოლი); • მოიძიებს ტოლი ფიგურების ნიმუშებს მისთვის ჩვეულ გარემოში; ახდენს ფიგურათა ტოლობის დემონსტრირებას მათი ურთიერთშეთავსებით; პოულობს რეალური ობიექტის წრფივ ზომას. **მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა** მათ. II.11. მოსწავლეს შეუძლია თვისობრივი მონაცემების შეგროვება მისი უშუალო გარემოცვის შესახებ. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • აგროვებს მონაცემებს რეალურ ობიექტებზე დაკვირვებით; • ამოკრებს რამდენიმე მონაცემს ერთგვაროვან მონაცემთა მოკლე სიიდან (არაუმეტეს ათი მონაცემი); • ამოკრებს საჭირო მონაცემებს უმარტივესი (ორსვეტიანი ან ორსტრიქონიანი) ცხრილიდან. მათ. II.12. მოსწავლეს შეუძლია თვისობრივი მონაცემების მოწესრიგება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • განალაგებს მონაცემებს მოცემული თანმიმდევრობით ან მოცემულ პოზიციებზე (მიმდევრობით გამოყოფილი პოზიციების შემთხვევაში); • მონაცემთა ერთობლიობის ყოველ მონაცემს მიუჩენს ადგილს რომელიმე მოცემულ ჯგუფში (მონაცემთა რაოდენობა არ აღემატება ათს, ხოლო ჯგუფების რაოდენობა - სამს); • ერთი კლასის ობიექტთა შესახებ მონაცემებს ალაგებს/აჯგუფებს რაიმე წესით; განმარტავს დალაგების/დაჯგუფების წესს.

		მათ. II.13. მოსწავლეს შეუძლია თვისობრივ მონაცემთა ინტერპრეტაცია. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • სიტყვიერად ახასიათებს მონაცემთა სიას (რომელშიც გაერთიანებულია არაუმეტეს 10 მონაცემისა) მონაცემთა საერთო რაოდენობის, განმეორების, პოზიციის, თანმიმდევრობის მიხედვით; • სიტყვიერად აღწერს/განმარტავს პიქტოგრამას, რომელშიც ერთი სიმბოლო შეესაბამება ერთ მონაცემს ან მონაცემთა წყვილს; • სიტყვიერად აღწერს/განმარტავს მონაცემთა უმარტივეს (ორსვეტიან ან ორსტრიქონიან) ცხრილს.
ამოცანები		**პირველი კვირა:** წინარე ცოდნის გარკვევის საფუძველზე, პროექტის მიზნის შემუშავება, .ბავშვების მიერ ფუნქციების სწორად გადანაწილება საჭირო მასალებისა და ინფორმაციის შესაგროვებლად. **მეორე კვირა:** დაკვირვების ცხრილის შედგენა- სახაზავის გამოყენება, სხვადასხვა მცენარეთა თესლის დათესვა შესაბამისი წესების დაცვით. **მესამე კვირა:** ინტერნეტმასალების მოძიება/გაცნობა, მონაცემთა ურთიერთგაზიარება და მსჯელობა. **მეოთხე კვირა:** დაკვირვების პროცესის და მონაცემთა ცხრილის შევსების სწორად წარმართვა. **მეხუთე კვირა:** დაკვირვება მცენარეთა ზრდის პროცესზე და გამოცდილების გაზიარება თანატოლებთან. **მეექვსე კვირა:** პრეზენტაცია პროექტის შედეგების შესახებ, მინდორში ვიზიტი ფერმერთან.
აქტივობები პროექტის ეტაპების მიხედვით	**პროექტის დასაწყისი**	**პროექტის მოკლე მიმოხილვა:** ბავშვები დათესავენ სხვადასხვა მცენარის თესლებს, დააკვირდებიან მათი აღმოცენების პროცეესს, მორწყვის სიხშირეს, სიმაღლეში ზრდას. მონაცემებს შეიტანენ ცხრილში. შემდეგ კი გამოიტანენ დასკვნებს, რომელი მცენარე აღმოცენდება ადრე, ან გვიან. რომელი როგორი ტემპით იზრდება, როგორია მცენარეთა დამოკიდებულება სინათლეზე და ა.შ. პროექტის ბოლოს გვექნება ვიზიტი და გასაუბრება ფერმერთან უშუალოდ მინდორში, ზრდასრული ხორბლის თუ ქერის ყანების სანახავად. **<u>პირველი კვირა</u>** რადგან პროექტი მოითხოვს მცენარეთა აღმოცენების და ზრდა-განვითარების ეტაპების შესწავლას, ამიტომ მოსამზადებელი ეტაპისთვის ისმება კითხვა: რითი, ან როგორ მრავლდებიან მცენარეები? ივსება აზრობრივი რუკა, წინარე ცოდნის გარკვევის შემდეგ შევიმუშავებთ პროექტის მიზნებს: „დავთესოთ სხვადასხვა მცენარის თესლი და დავაკვირდეთ მათ“. შემდეგ განისაზღვრება, რა გვჭირდება იმისთვის, რომ გვქონდეს ნათესები. ბავშვები გადაინაწილებენ ფუნქციებს: ვინ მოიტანს პლასტმასის ყუთებს, ვინ - ნოყიერ მიწას, ვინ სხვადასხვა თესლს და ა.შ. ამასთანავე, ეძლევათ დავალება - სახლში მოიძიონ ინფორმაცია კითხვებზე: როგორ ითესება თესლი? რა არის გასათვალისწინებელი ამ დროს? რა სჭირდება მცენარეს აღმოცენებისთვის? აქვს თუ არა მნიშვნელობა, როდის ითესება ესა თუ ის მცენარე?
	მსვლელობა	**მეორე კვირა** მსჯელობის შედეგად შევჯერდით, რომ გვჭირდება დაკვირვების ფურცელი (ცხრილი), სადაც მოხდება მცენარეთა მონაცემების აღრიცხვა. ვამზადებთ თაბახის ფურცლებზე აღნიშნულ ცხრილს სახაზავის საშუალებით და გამოვყოფთ კუთხეს, სადაც გავაკრავთ მას პროექტის მსვლელობის დროს გამოსაყენებლად. ამავე დროს, მოვამზადეთ დასათესად ჭურჭელი და დავთესეთ მცენარეები: ლობიო, ხორბალი, ქერი, მზესუმზირა, გოგრა, ქინძი, სიმინდი. ბავშვებმა გააკეთეს სახელობითი წარწერები და მიაკრეს თავიანთ ყუ-

		თებს, რომ არ აერიოთ ერთმანეთში. მოსწავლეები იღებენ ფოტოებს სლაიდშოუს მოსამზადებლად. პროექ-ტის მსვლელობისას მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, ჩანაწერებს, რათა გაიგოს, სჭირ-დებათ თუ არა დახმარება ბავშვებს. **მესამე კვირა** მოსწავლეებს ეძლევათ დავალება: ყველა მოსწავლემ მოიძიოს ინტერნეტში ინფორმაცია თა-ვისი დათესილი მცენარის შესახებ. რა უყვარს მას, მზე თუ ჩრდილი, ხშირი მორწყვა თუ იშვიათი? დაათვა-ლიერებენ ფოტოსურათებს და ა. შ. მოძიებულ ინფორმაციას ბავშვები უზიარებენ ერთმანეთს. ისმება კითხვები: სავარაუდოდ, როგორ შედეგს უნდა ველოდეთ ჩვენი ნათესისგან? ბავშვები მსჯელობენ, კამათობენ, აჯერებენ ინფორმაციას და თანხმდებიან, რომ მცენარეებს სჭირდება უხ-ვი მორწყვა, სითბო და სინათლე აღმოცენების შემდეგ. მასწავლებელი აკვირდება მიმდინარე პროცესებს. **მეოთხე კვირა** მცენარეები იწყებენ აღმოცენებას. ბავშვები აკვირდებიან ღივის მიწიდან ამოსვლის პრო-ცესს. დაკვირვების ფურცელში აღრიცხავენ მორწყვისა და აღმოცენების თარიღებს. გამჭვირვალე ჭურ-ჭლში დათესილ მცენარეებზე აწარმოებენ დაკვირვებას - პირველად ფესვთა სისტემა ვითარდება თუ ღივი. რამდენიმე მცენარეს ამოგლეჯენ და აკვირდებიან, რომელს როგორი ფესვი აქვს. აღმოაჩენენ, რომ ხშირ ნა-თესში უფრო წვრილი ღივებია ამოსული, ვიდრე სხვებში, გადაიღებენ ფოტოებს. **მეხუთე კვირა.** ნათესები საგრძნობლად გაზრდილია. მასწავლებელი სვამს კითხვებს: რატომაა მცენარეები გა-დახრილი ფანჯრისკენ? რომელი მცენარეა ყველაზე მაღალი? ბავშვები ზომავენ სახაზავის საშუალებით ნათე-სების სიმაღლეს და შეაქვთ მონაცემები დაკვირვების ფურცელში. მსჯელობენ მცენარეთა ზრდის ტემპის შესა-ხებ, ანგარიშობენ წინა და მომდევნო გაზომვებს შორის რამდენით მოიმატა სიმაღლეში ნათესმა. აღმოაჩინეს, რომ მზისკენ გადახრილი მცენარეები ყუთების შემობრუნების შემდეგ გასწორდნენ, რის გამოც ბავშვებმა მზე-ზე შეყვარებული მცენარეები დაარქვეს. დაპატიჟეს საკლასო ოთახში უმცროსკლასელებიც და უფროსკლასე-ლებიც, რათა ენახვებინათ II კლასის „მწვანე კუთხე“. ესაუბრათ მათთან, გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდი-ლება. ბავშვები აკეთებენ ზეპირ ურთიერთშეფასებასა და წერილობით თვითშეფასებებს. მასწავლებელი მონიტორინგს უწევს ბავშვებს და, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს გეზს, მიმართულებას გადაწყვეტილებების მისაღებად.
	პროექტის და-სასრული	**მეექვსე კვირა.** იწყება შედეგების განხილვა. ყველა მოსწავლე თავისი მცენარის შესახებ წარმოადგენს კლასის წინაშე დაკვირვების ფურცელს და მსჯელობს, რამდენ ხანში ერთხელ სჭირდებოდა მცენარეს მორწყვა, დათეს-ვიდან რამდენ დღეში აღმოცენდა იგი, ხშირად სჭირდებოდა თუ არა ბრუნვა მზისკენ, რამდენი სმ.-ით იზრდებო-და გაზომვიდან გაზომვამდე და ა.შ. ბავშვები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს და აკეთებენ ურთიერთშეფასებას. აღნიშნულ კვირაში დაგეგმილი შეხვედრა ფერმერთან ვერ მოხერხდა, რადგან ცუდი ამინდის და წვიმების გამო მინდორში ჩასვლა შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. სამაგიეროდ, მომზადდა და ამოიბეჭდა Word-ის პროგრამაში სერტიფიკატები ბავშვებისთვის, რომელიც ადასტურებდა მათ მონაწილეობას პროექტში, რა-მაც ისინი ძალიან გაახარა და შემდგომში სხვა პროექტების კეთების სტიმულიც მისცა. მასწავლებელი აჯამებს პროექტის შედეგებს და კეთდება გადაღებული ფოტოსურათებით სლაიდშოუ

PowerPoint პროგრამაში მოსწავლეთა თანამონაწილეობით. ბავშვები თვითონ არჩევდნენ ფოტოებს და ასათაურებდნენ. სლაიდი აიტვირთა ბლოგზე და გაზიარდა ძვ. ანაგის საჯარო სკოლის ფეისბუქ გვერდზე.

მოსწავლეები ავსებენ პროექტის შეფასების რუბრიკას.

დასკვნა: პროექტის დასასრულს ბავშვებმა ერთმანეთის მონაცემების შედარების შედეგად აღმოაჩინეს რომელი იყო ყველაზე სწრაფად აღმოცენებადი მცენარე, ყველაზე ფართოფოთლოვანი, უხვი წყლის მოყვარული. რომელი მცენარის ფოთლები წააგავდა ერთმანეთს, რომელი მათგანის ფესვი იყო უფრო ღრმად ჩასული და ა. შ.

პროექტის განხორციელების შედეგი/საბოლოო პროდუქტი

პრეზენტაცია (წარდგენა), რეფლექსია.

მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიები

1. აზრობრივი რუკის შევსება (აზრობრივი რუკის შევსებით მასწავლებელი გებულობს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რის საფუძველზეც იგეგმება შემდგომი ქმედებები);
2. შეკითხვების დასმა (შეკითხვების დასმა ხდება მთელი პროექტის განმავლობაში, რომ შემოწმდეს მოსწავლის აზროვნება და მიეცეს ანალიზის შესაძლებლობა);
3. ურთიერთშეფასება (სიტყვიერად);
4. თვითშეფასება (რუბრიკა);

შეფასების კრიტერიუმები	**კი**	**არა**	**გამიჭირდა**
1.აქტიურად ვიყავი ჩართული დაკვირვების პროცესში			
2 .ვეხმარებოდი თანაკლასელებს			
3 .ვაწარმოე გაზომვა და მონაცემთა შეტანა დაკვირვების ცხრილში			

5. „დაკვირვების ფურცელი“ (ცხრილი, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებელს, თვალი მიადევნოს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს).

დაკვირვების ფურცელი. მცენარე---------- გვარი, სახელი----------									
თვე/რიცხვი									
დათესვა									
მორწყვა									
აღმოცენება									
სიმაღლე (სმ)									

<table>
<tr>
<td>პროექტის/პროექტის შედეგების შეფასების სტრატეგიები(მიმდინარე და დასკვნითი)</td>
<td>
1. შეკითხვების დასმა
2. ჩანაწერების გაკეთება, დაკვირვების ფურცელი
3. პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა
<table>
<tr><th>შეფასების კრიტერიუმები</th><th>კი</th><th>ნაწილობრივ</th><th>არა</th></tr>
<tr><td>1.პრეზენტაციას აქვს დასაწყისი, დასასრული და ძირითადი ნაწილი</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>2. პრეზენტატორს შეუძლია სათქმელის ნათლად გადმოცემა</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>3. პრეზენტატორს არ უჭირს დამატებით კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა, საკუთარი აზრის დასაბუთება.</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>4.დაცულია დროის ლიმიტი</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>
4. პროექტის შეფასების რუბრიკა მოსწავლეთათვის
<table>
<tr><th>შეფასების კრიტერიუმები</th><th>კი</th><th>არა</th><th>ნაწილობრივ</th></tr>
<tr><td>საინტერესო და სახალისო იყო პროექტზე მუშაობა</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>ამ პროექტით დამატებითი ცოდნა მივიღე</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>გამიჩნდა სხვა პროექტზემუშაობის სურვილი</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>გამოყენებული რესურსი/ბიუჯეტი</td>
<td>კომპიუტერი, მეხსიერების ბარათი, პრინტერი, მობილური ტელეფონი, ბლოგი, ტექსტური რედაქტორი, საპრეზენტაციო პროგრამა, ვებბრაუზერი, თესლები, მიწა, ყუთები, ფოტოაპარატი, სახაზავი, კალამი, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/128478/1/Saxelmdzgvanelo_Mebostneobashi.pdf და მცენარეთა ფოტოსურათები google.ge საშუალებით.</td>
</tr>
<tr>
<td>სხვა ადამიანური რესურსი</td>
<td>მოწვეული სტუმრები, მოსწავლეები სხვა კლასიდან, მასწავლებლები, მშობლები და ა.შ.</td>
</tr>
<tr>
<td>პროექტის განხორციელებისას არსებული გამოწვევები/შესაძლო რისკები</td>
<td>1. ბავშვების მწირი გამოცდილება შეთანხმებულად მუშაობის შესახებ, რაც ხელს შეუშლის პროექტის შედეგიანად წარმართვას.
2. ამინდის გაუარესების გამო ფერმერთან დაგეგმილი ვიზიტის გაუქმების რისკი.</td>
</tr>
<tr>
<td>დამატებითი ინფორმაცია, რომელიც პროექტის განხორციელების მხარდაჭერას ემსახურება/ დანართები.</td>
<td>პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს გადაეცათ პედაგოგის მიერ დამზადებული სერტიფიკატები

http://liajaliashvili0.blogspot.com/2018/06/blog-post_24.html</td>
</tr>
</table>

N2. თემა: ბუნება

სკოლა:	**სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ალვანი, N1 საჯარო სკოლა**
საფეხური/კლასი:	**დაწყებითი საფეხური. VI კლასი.**
საგანი/საგნები:	**ქართული ენა და ლიტერატურა**
პროექტის ხელმძღვანელი პედაგოგი/პედაგოგები:	**სოფიკო აბალოიძე**
პროექტის დასახელება	**„ყური მივუგდოთ ბუნებას“**
პროექტის განხორციელების დრო	9-10 საგაკვეთილო საათი (2 კვირა)
პრობლემის/თემის აქტუალობის განსაზღვრა	**გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის -** ეს არის მიდგომა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას გარემოსდაცვით კონტექსტზე დაფუძნებით. ის გულისხმობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ამის გათვალისწინებით სასკოლო პროექტში მონაწილეობა მოსწავლეს უნდა უბიძგებდეს, გააცნობიეროს პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, გაიაზროს მდგრადი განვითარების მნიშვნელობა და თითოეული პიროვნების როლი ამ საყოველთაო პროცესში.
მიზნები	გარემოსდაცვითი კულტურის დამკვიდრება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სასკოლო განათლებაში. მიმდინარე პროექტის მიზანია საგნობრივი კომპეტენციების დახმარებით განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყონ მოსწავლეებში გარემოსადმი ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, გარემოს დაცვასა და აღდგენაში თანამონაწილეობის ჩართულობის გაზრდას.
კავშირი საგნობრივ სტანდარტებთან /მოსალოდნელი შედეგები	**ქართ.დაწყ. (II). 2** საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების, რეალური ფაქტების ცოდნის გამოყენება ტექსტის ინტერპრეტირების, შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის, დასკვნების გამოტანის თუ ახსნა-დასაბუთების მიზნით. **ქართ.დაწყ. (II). 3** სტრატეგიების გამოყენებით, ნაცნობი ჟანრის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., თვითგამოხატვის, შთაბეჭდილების გადმოცემის, წაკითხულის ინტერპრეტირების). **მოსალოდნელი შედეგები:** • მოსწავლემ უნდა შეძლოს:

		მოსმენილი ან წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან; • ლიტერატურის სწავლების პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს და ერთგვარი ბიძგი მისცეს თითოეულ მოს-წავლეში არსებული უნიკალური - ინდივიდუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას. • პროექტზე მუშაობამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს ურთიერთთანამშრომლობის, შემოქმედებითი მუშაობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და სამოქალაქო ჩართულობის უნარ-ჩვევები.
ამოცანები	N1. პროექტის გაცნობა,პრობლემის იდენტიფიცირება (1სთ); N2.პროექტის აქტივობებზე მუშაობა (4სთ); N3. შედეგების ასახვა კომპლექსურ დავალებაში (3სთ); N4. შემაჯამებელი პრეზენტაცია და სასკოლო საზოგადოებისათვის პროექტის წარდგენა (1სთ); N5. სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობა. შენიშვნა: საჭიროებისამებრ შესაძლებელია გაიზარდოს პროექტის განხორციელების ვადა.	
აქტივობები პროექტის ეტაპე-ბის მიხედვით	**პროექტის დასაწყისი**	1. პროექტის გეგმის გაცნობა და აქტივობების დაგეგმვა; 2. ჯგუფების დაკომპლექტება.
	მსვლელობა	1. ლიტერატურული ტექსტების შერჩევა და მიზნობრივად დამუშავება (რ.ინანიშვილი-„მუხა“, „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“, ვაჟა-ფშაველა-„ია“, „ხმელი წიფელი“ (შერ-ჩეული ეპიზოდი); 2. ჯგუფური მუშაობა გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენებით(საკვანძო საკითხების რუკა,სიტყვის რუკა); 3. მიზნობრივად შერჩეული ანიმაციური ფილმებიდან მნიშვნელოვანი საკითხების გა-მოკვეთა; 4. დისკუსია (გაკვეთილის ბოლოს თითოეული ჯგუფი წარმოადგენს სამსჯელო თემის ირგვლივ სამ საკვანძო საკითხს); 5. დიორამაზე მუშაობა ჯგუფებში; 6. კომპლექსური დავალების განხორციელება (მკითხველის წერილი ადამიანს, რომე-ლიც დაუდევრად ექცევა ბუნებას).
	პროექტის დასასრული	1. პროექტის შედეგების წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის; 2. დედამიწის დღისადმი მიძღვნილ სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.
პროექტის განხორციელების შედეგი/საბოლოო პროდუქტი	დიორამა, ღონისძიებაში თანამონაწილეობა.	

მოსწავლეთა შეფასების სტრა-ტეგიები	1.მიმდინარე შეფასება(განმავითარებელი) შეფასების რუბრიკა. docx https://emis188-my.sharepoint.com/:w:/g/personal/abaloidze_sopiko_teachers_gov_ge/EVEDYg-qpm9Nu5kbE-Rf6SABRqhk2o99-d6np1HEVr0gfw?e=EhCSJN დასკვნითი შეფასება-გასასვლელი ბილეთი (ფორმა შეირჩევა მასწავლებლის სურვილისამებრ) გასასვლელი ბილეთი.docx https://emis188-my.sharepoint.com/:w:/g/personal/abaloidze_sopiko_teachers_gov_ge/EYZB-M4hs4JDtfXwc5GSdg4B5ZELzmmCwuVVUu_F2qKTEA?e=xZJcfI
პროექტის/პროექტის შედეგე-ბის შეფასების სტრატეგიე-ბი(მიმდინარე და დასკვნითი)	მიმდინარე-დისკუსია,დიორამა; დასკვნითი-დედამიწის დღისადმი მიძღვნილ სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობა.
გამოყენებული რესურსი/ბიუ-ჯეტი/ (ინტერნეტრესურსის ლინკები)	1. ბოცო და გვანცა (გარემოს დაცვა) https://www.youtube.com/watch?v=XYsbDdunG5g&t=13s 2. ბუნების მცველი https://www.youtube.com/watch?v=6sUXNDzXhY4
სხვა ადამიანური რესურსი	მშობლების/სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა დიორამებზე მუშაობაში.
პროექტის განხორციელებისას არსებული გამოწვევები/შე-საძლო რისკები	1. ზერელე დამოკიდებულება; 2. სამუშაო ჯგუფების სწორად შერჩევა; 3. სამუშაო პროცესში ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება.

დამატებითი ინფორმაცია, რომელიც პროექტის განხორციელების მხარდაჭერას ემსახურება/ დანართები.	დიორამა : მოსწავლეთა ნამუშევარი. docx https://emis188-my.sharepoint.com/:w:/g/personal/abaloidze_sopiko_teachers_gov_ge/ERzXRc91XClDoTl__T6l6fYBrK8FmRn-k3kRJGpCa3KnjQ?e=nLwOaU

N3. თემა: ლაშქრობა

სკოლა:	**სსიპ. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლი, N2 საჯ. სკოლა**
საფეხური/კლასი:	დაწყებითი საფეხური. IV კლასი.
საგანი/საგნები:	**ხელოვნება/„მე და საზოგადოება“**
პროექტის ხელმძღვანელი პედაგოგი/პედაგოგები:	**ლალი კუპრაშვილი**
პროექტის დასახელება	„მოვემზადოთ სალაშქროდ“
პროექტის განხორციელების დრო	8 კვირა
პრობლემის/თემის აქტუალობის განსაზღვრა	საერთაშორისო კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანის მორალური განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური განათლება, ფულის დაზოგვა და მისი მიზნობრივად გამოყენება. მოზარდი ადრეული ასაკიდან უნდა აცნობიერებდეს ოჯახის ბიუჯეტს, ზრუნავდეს და უფრთხილდებოდეს მას. მოსწავლეები ძირითადად არამიზნობრივად ხარჯავენ თანხას. ეს პროცესი მათთვის სასიამოვნოა, თუმცა ოჯახისათვის რთული სამართავი. დროთა განმავლობაში, მოზარდი ეჩვევა მშობლების ხარჯზე ცხოვრებას, არ არის ჩართული ოჯახის ბიუჯეტის მართვაში, არ აინტერესებს რა გზების გავლა უწევს მშობელს მათ უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პროექტი, თამაშითა და სახალისო აქტივობების გამოყენებით, დაწყებითი საფეხურიდან ასწავლის მოსწავლეს, თუ როგორ დაზოგოს ფული და როგორ გამოიყენოს მიზნობრივად.

<table>
<tr>
<td>მიზნები</td>
<td>
გრძელვადიანი მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება;
მოსწავლისათვის ფულისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის და მიზანმიმართულად გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარების ხელშეწყობა;
თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის განვთარების ხელშეწყობა.

მოკლევადიანი მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ხელით შექმნას საჭირო რესურსი ხელნაკეთი ყულაბის სახით- შემოქმედებითი უნარის განვითარების ხელშეწყობა;
მოსწავლემ შეძლოს დახატოს ნახატი თემაზე „ჩემი საყვარელი კუპიურა“ და გააკეთოს მისი პრეზენტაცია-დაკვირვებისა და საპრეტენზიო უნარების განვითარების ხელშეწყობა.

</td>
</tr>
<tr>
<td>კავშირი საგნობრივ სტანდარტებთან /მოსალოდნელი შედეგები</td>
<td>
<table>
<tr><th colspan="2">სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)</th></tr>
<tr><td>შედეგების ინდექსები</td><td>მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა</td></tr>
<tr><td>დაწყ. (I).2.</td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.</td></tr>
<tr><td></td><td>მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია</td></tr>
<tr><td>დაწყ. (I).3.</td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.</td></tr>
</table>
</td>
</tr>
</table>

„მე და საზოგადოების“ სტანდარტის შედეგები (III-IV კლასები)	
	2. მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ. (I).6.	საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება; რესურსების დაგეგმვა და დაზოგვა;
საზ.მეც.დაწყ. (I).7.	სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;
საზ.მეც.დაწყ. (I).	ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.

ამოცანები

I გაკვეთილი

IV კლასის მოსწავლეებისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

დისკუსია თემაზე: „ ჩემი ფინანსების წყარო“

მშობლების ინფორმირება პროექტის განხორციელების შესახებ;

II გაკვეთილი III გაკვეთილი

- მოსწავლეებისათვის სამუშაო ქეისის შეთავაზება;
- კლასის ჯგუფებად დაყოფა და ჯგუფებისათვის დავალების მიცემა;

III გაკვეთილი

ლაშქრობაზე წასასვლელი თანხის მოსაგროვებლად ხელთ ნაკეთი ყულაბების დამზადება.

IV გაკვეთილი

საბავშვო ვიდეო ფილმების ნახვა, სადაც არის ნაჩვენები, რატომ არის სასარგებლო მოზარდისათვის ფულის დაზოგვა;

V გაკვეთილი

„ჩემი საყვარელი ფულის კუპიურა“- ნახატების შექმნა და მინი გამოფენა;

კვირა. ლაშქრობის მოწყობა.

VI გაკვეთილი

„ჩემი ლაშქრობა“ - ნახატების შექმნა და მინი გამოფენა;

VII გაკვეთილი - საინფორმაციო პოსტერის შექმნა „ მოვემზადოთ სალაშქროდ“.

VIII გაკვეთილი - პროექტის შეჯამება.

აქტივობები პროექტის ეტა-პების მიხედ-ვით	**პროექტის დასაწყისი**	პირველ რიგში, IV კლასის მოსწავლეებს მივაწოდე პროექტის შესახებ ინფორმაცია. ვესუბრე, თუ რა მნიშვნე-ლობა აქვს ადამიანისათვის ფინანსურ განათლებას, ფულის დაზოგვასა და მის მიზნობრივად გამოყენებას. მოტივაციის ამაღლების მიზნით, შევთავაზე დისკუსია თემაზე: „ჩემი ოჯახის ფინანსები“. მოსწავლეები მსჯელობენ, თუ როგორი შემოსავალი აქვს ოჯახს, როგორ ეხმარებიან ისინი მშობლებს საოჯახო საქმიანო-ბაში. აქვთ თუ არა დანაზოგი. რისთვის აგროვებენ დანაზოგს. შემდეგი ნაბიჯი იყო მშობლებთან შეხვედრა და პროექტის შესახებ საუბარი. ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა შეხვედრები მშობლებთან. თემის აქ-ტუალობის გამო მშობლებისათვის საჭირო იყო არგუმენტირებული განმარტება, თუ რა მნიშვნელობა ენი-ჭება მოზარდის განვითარებისათვის ადრეული ასაკიდან ფულის დაზოგვისა და განკარგვის უნარ-ჩვევის გამომუშავებას. მშობლებიც დაიტერესდნენ და ხალისით დამთანხმდნენ თანამშრომლობაზე.
	მსვლელობა	პროექტის მსვლელობისათვის მოსწავლეებს წარმოვუდგინე ქეისი. **ქეისის აღწერა:** „მოსწავლეებს შევთავაზე სასწავლო წლის ბოლოს ლაშქრობაზე წასვლა და კვირა დღის ერთად გატარება. შევახსენე ბავშვებს, რომ ლაშქრობისათვის დასჭირდებოდათ პროდუქტები საპიკნიკოდ და სხვადასხვა სპორტული ინვენტარი სპორტული აქტივობებისათვის. მათ შესაძენად კი გარკვეული რაო-დენობის თანხა იყო საჭირო. დავალება შემდეგში მდგომარეობდა: მოსწავლეებს ფასების გათვალისწინებით უნდა დაედგინათ სალაშქრო თანხის რაოდენობა და ნახევარი სემესტრის მანძილზე შეეგროვებინათ იდივიდუალურად თვითნაკეთ ყუ-ლაბაში დანაზოგის სახით. ხოლო ლაშქრობის წინ კი დანაზოგი გაეერთიანებინათ და საერთო თანხით ეყი-დათ ის პროდუქტები და ინვენტარი, რაც წინასწარ შეარჩიეს”. შემდეგ, კლასი დავყავი 4 ჯგუფად: • I ჯგუფი- თანაკლასელების სურვილის გათვალისწინებით შეადგინონ იმ პროდუქტების სია, რომელიც საპიკნიკოდ დასჭირდებათ. შემდეგ სურსათის მაღაზიაში ვიზიტი და ფასების გარკვევა; • II ჯგუფი- შეადგინონ სპორტული აქტივობებისათვის საჭირო სპორტული ინვენტარის სია. შემდეგ შესაბამის მაღაზიაში ვიზიტი ფასების დადგენის მიზნით; • III ჯგუფი - ტრანსპორტისა და სალაშქრო მარშრუტის შერჩევა, მარშუტის ფასის დადგენა. I და II ჯგუფმა ჩამოწერა სალაშქროდ საჭირო პროდუქტებისა და ინვენტარის სია . დასრულებული სიების შემდეგ, ისინი ესტუმრნენ შესაბამის მაღაზიებს და გამყიდველების დახმარებით დაადგინეს შესაძენი ნივ-თებისა და პროდუქტების ფასები. III ჯგუფი ესტუმრა სამარშუტო ტაქსების გაჩერებას და მძღოლებს მარშუტისა და ფასების შესახებ ესაუბრა. სამივე ჯგუფმა შეაჯამა სალაშქროდ საჭირო თანხის რაოდენობა და მიღებული შედეგი, გაყო კლასის მოს-წავლეების რაოდენობაზე. ამით მიიღო ერთი მოსწავლისათვის საჭირო სალაშქრო ფულის რაოდენობა. მომდევნო აქტივობა იყო ხელოვნების გაკვეთილზე ხელნაკეთი ყულაბების დამზადება, რომელიც მოსწავ-ლეებმა სხვადასხვა მასალისაგან გააკეთეს და წაიღეს სახლში, რათა ყოველდღიურად დაეზოგათ და ყულა-ბაში შეეგროვებინათ ფული სალაშქროდ. ერთი გაკვეთილი დავუთმეთ სახალისო ვიდეოებს იუთუბიდან,

<table>
<tr><td></td><td></td><td>რომლებიც მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებლად იყო გათვლილი და ფულის დაზოგვას ეხებოდა. ენის თარგმანში ინგლისურის პედაგოგი დაგვეხმარა.
შემდეგ გვქონდა საუბარი ფულის კუპიურების შესახებ. მოსწავლეებმა გაიხსენეს, რომელ კუპიურებს იცნობდნენ, თავიანთი სურვილით დახატეს მათთვის მნიშვნელოვანი ფულის კუპიურა. პრეზენტაციის დროს კი ისაუბრეს, თუ რატომ არის ეს კუპიურა მათთვის მნიშვნელოვანი, რისი ყიდვა შეუძლიათ და რამდენ კუპიურად შეიძლება დაშალონ. მოაწყეს ნახატების გამოფენა.
ფულის შეგროვების პროცესი ნახევარი სემესტრის განმავლობაში ხდებოდა. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე მქონდა კომუნიკაცია მშობლებთან, ვეკითხებოდი მათ, თუ როგორ ასრულებდნენ მათი შვილები ჩემს მითითებებს. ლაშქრობის წინ მოსწავლეებმა მოიტანეს ყულაბაში შეგროვილი თანხა, მშობლებთან ერთად დათვალეს და გადაანაწილეს მიზნობრივად. რადგანაც თითოეული მოსწავლისათვის თანხა თავიდანვე იყო განსაზღვრული, დათვლის პროცესს უხერხულობა არ გამოუწვევია.
შემდეგ ბავშვებმა მშობლებთან ერთად შეიძინეს პროდუქტები და სპორტული ინვენტარი.
ბოლოს, ყველამ ერთად მხიარული ლაშქრობა მოვაწყეთ.
შემდეგ ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლეებმა დახატეს ნახატები თემაზე, „ჩემი ლაშქრობა“. მოაწყეს გამოფენა და ნახატების პრეზენტაცია.</td></tr>
<tr><td></td><td>პროექტის დასასრული</td><td>პროექტის დასასრულს გვქონდა პროექტის პრეზენტაცია. მოვიწვიეთ სკოლის მასწავლებლები, დირექცია, მშობლები, დაწყებითი საფეხურის სხვა მოსწავლეები. მოსწავლეებმა გააკეთეს და წარმოადგინეს საინფორმაციო პოსტერის პრეზენტაცია.</td></tr>
<tr><td colspan="2">პროექტის განხორციელების შედეგი/საბოლოო პროდუქტი</td><td>მოსწავლეებმა დასასრულს შეაჯამეს გაწეული შრომა: ისაუბრეს, თუ რა მოეწონათ მათ ამ პროექტში, რა გაუჭირდათ, რა ასწავლათ მათ ამ პროექტმა, არის თუ არა საჭირო ფულის დაზოგვა და მისი მიზნობრივად გამოყენება. ბავშვები ერთობლივად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფულის უაზროდ დახარჯვა არ არის კარგი, სჯობს, დაისახოს მიზანი, გამოიმუშაოს ნებისყოფა და შეაგროვოს თანხა სასურველი ნივთის შესაძენად. ამით მშობლებსაც დაეხმარება და ოჯახის ბიუჯეტსაც სარგებელს მოუტანს.
პროექტის საბოლოო პროდუქტი იყო საინფორმაციო პოსტერი.</td></tr>
<tr><td colspan="2">მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიები</td><td>განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
<table>
<tr><td></td><td>სუსტი</td><td>საშუალო</td><td>ძლიერი</td></tr>
<tr><td>საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება</td><td>მოსწავლეს უჭირს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება.
სჭირდება მასწავლებლის დახმარება.</td><td>მოსწავლეს მასწავლებლის მცირე მითითებით შეუძლია საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება.</td><td>მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და კარგად აცნობიერებს მოსალოდნელ შედეგებს.</td></tr>
</table></td></tr>
</table>

	მოსწავლისათვის ფულისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის და მიზან-მიმართულად გამოყენება	მოსწავლის უჭირს ფულისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის და მიზან-მიმართულად გამოყენების საჭიროების გაცნობიერება.	მოსწავლე მასწავლებლის მითითებით მსჯელობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფულისა და ფინანსური რესურსების დაზოგვას და მიზან-მიმართულად გამოყენებას.	მოსწავლე კარგად აცნობიერებს და დამაჯერებლად მსჯელობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფულისა და ფინანსური რესურსების დაზოგვას და მიზან-მიმართულად გამოყენებას.	
	თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა	მოსწავლეს ნაკლებად აქვს განვითარებული თანამშრომლობითი უნარები და ნაკლებად ერთვება ჯგუფურ მუშაობაში	მოსწავლეს განვითარებული აქვს თანამშრომლობითი უნარები და ხალისით ერთვება ჯგუფურ მუშაობაში.	მოსწავლეს კარგად აქვს განვითარებული თანამშრომლობითი უნარები და ხალისით ერთვება ჯგუფურ მუშაობაში. ეხმარება სუსტებს და აძლევს მითითებებს.	
	ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების შექმნა და პრეზენტაცია	მოსწავლეს უჭირს ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების შექმნა და ნამუშევრის პრეზენტაცია.	მოსწავლეს შეუძლია ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების შექმნა და ნამუშევრის პრეზენტაცია, თუმცა მცირე ხარვეზებით.	მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების შექმნა და ნამუშევრის პრეზენტაცია დამაჯერებელი არგუმენტებით.	
პროექტის/პროექტის შედეგების შეფასების სტრატეგიები(მიმდინარე და დასკვნითი)	პრეზენტაცია				
გამოყენებული რესურსი/ბიუჯეტი	ონლაინრესურსები				

სხვა ადამიანური რესურსი	პროექტში აქტიურად იყო ჩართული: სკოლის დირექცია, კლასის ხელმძღვანელი, „მე და საზოგადოების“ მასწავლებელი, ინგლისური ენის პედაგოგი, რომელიც გვითარგმნიდა ინგლისურენოვან იტერნეტ რესურსებს, მშობლები, მაღაზიის თანამშრომლები, რომლებიც კონსულტაციას უწევდნენ ბავშვებს პროდუქტების არჩევასა და ფასების დადგენაში.
პროექტის განხორციელებისას არსებული გამოწვევები/შესაძლო რისკები	პროექტი მიმდინარეობდა გეგმის მიხედვით, თუმცა, რამდენჯერმე მომიწია ზოგიერთ მშობელთან შეხვედრა, რათა დამერწმუნებინა პროექტის მნიშვნელობაში. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მშობელს თვითონ უჭირდა გაეცნობიერებინა, თუ რატომ იყო საჭირო ესწავლა მათ შვილს ფულის დაზოგვა და გამოყენება მიზნობრივად. საუბრისა და არგუმენტირებული მაგალითების მოყვანის შემდეგ ეს პრობლემაც აღმოიფხვრა.
დამატებითი ინფორმაცია, რომელიც პროექტის განხორციელების მხარდაჭერას ემსახურება/ დანართები.	**საინფორმაციო პოსტერი „მოვემზადოთ სალაშქროდ“.**

N4. თემა: ბოსტნეული

სკოლა:	**სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა**
საფეხური/კლასი:	**დაწყებითი საფეხური; მე-2 კლასი**
საგანი/საგნები:	**ბუნებისმეტყველება**
პროექტის ხელმძღვანელი პედაგოგი/პედაგოგები:	**ხათუნა ბაწელაშვილი**
პროექტის დასახელება	**„ბოსტნეული ჩვენი მეგობარია!"**
პროექტის განხორციელების დრო	დაახლოებით 4 კვირა
პრობლემის/თემის აქტუალობის განსაზღვრა	მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული ბოსტნეულის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.
მიზნები	1. გაეცნონ ბოსტნეულის სასარგებლო თვისებებს და გაიცნობიერონ მისი მნიშვნელობა ჯანსაღი კვებისათვის. 2. შეძენილი ცოდნის საფუძველზე, შეიტანონ ცვლილებები საკუთარ კვების რაციონში; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ცოდნა გაუზიარონ ოჯახის წევრებს, თანატოლებს, სასკოლო საზოგადოებას. 3. სხვადასხვა უნარის (პრაქტიკული, კვლევითი, ფუნქციური...) განვითარება. 4. მდგრადი განვითარების მიზანი 3 : ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ყველა ასაკის ადამიანისათვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა)
კავშირი საგნობრივ სტანდარტებთან /მოსალოდნელი შედეგები	ბუნ. დაწყ (1) 1,2,3,4,5

ბუნებისმეტყველების სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)		
შედეგების ინდექსები	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
ბუნ.დაწყ. (I).1	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სხეულების შემადგენელი ნივთიერებების/მასალების თვისებების აღწერა მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დასადგენად / გასაანალიზებლად.	**სხეული** (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5) **მოვლენა**

	ბუნ.დაწყ. (I).2	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის აღწერა და მარტივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.	(შედეგები: 1, 2, 3, 4, 5) **სივრცეში ორიენტირება** (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5) **ორგანიზმი, საარსებო გარემო** (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5) **გარემოს დაცვა** (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5)
	ბუნ.დაწყ. (I).3	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ორგანიზმთა ჯგუფების სასიცოცხლო თვისებებისა და საბინადრო / საარსებო გარემოს აღწერა და ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროს შორის კავშირების დადგენა.	
	ბუნ.დაწყ. (I).4	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით გარემოს დაცვის აუცილებლობაზე მსჯელობა მისი მნიშვნელობის დასასაბუთებლად.	
	ბუნ.დაწყ. (I).5	პრაქტიკული აქტივობებისა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ჰიგიენის ელემენტარული წესების დაცვა ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით.	

ამოცანები		1. ინფორმაციის მოძიება, გაცნობა, გააზრება (ერთი კვირა); 2. სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობების/ღონისძიებები განხორციელება (გაკვეთილები, კლასგარეშე აქტივობები, შეხვედრები...)(4 კვირა); 3. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის (პოსტერი, ბუკლეტი, დიორამა, პრეზენტაცია....)(3 კვირა); 4. მშობელთა დაინტერესება და ჩართულობის უზრუნველყობა(4 კვირა); 5. მონიტორინგის წარმოება (პროექტის მიმდინარეობის მთლი პერიოდი).
აქტივობები პროექტის ეტაპების მიხედვით	**პროექტის დასაწყისი**	1. ესგ-ის სტანდარტთან შესაბამისობაში პროექტის შემუშავება (მიზნების დასახვა, განსახორციელებელი ამოცანების და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება) და მოსწავლეებისათვის შეთავაზება.
	მსვლელობა	1. ინფორმაციის გაცნობა (მხატვრული ტექსტები (მარიამ წიკლაურის „მშიშარა ბოსტნეული“, კობა ჭუმბურიძის „კურდღლების ამბავი“, „ ჭკვიანი ბოცო“ - ავტორთა ჯგუფი- ე. გოგაძე ნ. ლომიძე, მ. მამისეიშვილი)) გაკვეთილებზე და კლასგარეშე შეხვედრებზე; 2. პლაკატების მომზადება და გამოფენა; 3. დიორამის მომზადება; 4. მინი -კვლების ჩატარება ოჯახის წევრებთან;

		5. ბოსტნეულის სალათის რეცეპტების მოგროვება და წიგნად აკინძვა.
	პროექტის დასასრული	• ღია კარის დღე: • **1-ლი განყოფილება** • კონფერენცია (შეხვედრა მშობლებთან, სოფლის ექიმთან, მოწვეულ პედაგოგებთან და შეძენილი ინ-ფორმაციის-ცოდნის პრეზენტაცია); • გამოფენა - პოსტერების (ინდივიდუალური და საკლასო პოსტერის) პრეზენტაცია; • საოჯახო კვლევის შედეგების პრეზენტაცია; • სახალისო აქტივობა - ვის რომელი ბოსტნეული უყვარს? (ყველაზე პოპულარული ბოსტნეულის გა-მოვლენა); • სახალისო სავარჯიშო - იპოვე ბოსტნეული; • დიორამის „ ბებოს ბოსტანი“ - პრეზენტაცია; • სახალისო აქტივობა- მუსიკალური პაუზა სიმღერა. https://www.youtube.com/watch?v=Svipw_H4BxQ. ○ **მე-2 განყოფილება** • კითხვები ექიმს; • სახალისო აქტივობა - ინსცენირება „ კურდღლების ამბავი“; • მოსწავლეების მიერ დამზადებული ბოსტნეულის სალათის რეცეპტების წიგნის პრეზენტაცია; • კონკურსი „სუპერ მზარეული დედიკო“ (სალათის დამზადების პროცედურის პრეზენტაცია დედა-შვილის მიერ. კლასის ჟიურის მიერ შეფასება და სერტიფიკატით დაჯილდოება); • სახალისო აქტივობა: ლექსი „მშიშარა ბოსტნეული“; • პიკნიკი - სალათების დაგემოვნება.
პროექტის განხორციელების შედეგი/საბოლოო პროდუქტი		ამაღლდება მოსწალეთა ცნობიერების დონე ბოსტნეულის მნიშვნელობის შესახებ ; შეიტანენ ცვლილებებს კვების რაციონში; შეიტანენ საკუთარ წვლილს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის და დამკვიდრე-ბის საქმეში. შეძლებენ ესგ-ის შედეგებზე (ბუნ. დაწყ (1) 1,2,3,4,5) გასვლას; შექმნიან შემოქმედებით პრო-დუქტს დიორამის, პლაკატების, რეცეპტების წიგნის, ინსცენირების, გამოფენის სახით; განუვითარდათ სხვადასხვა უნარები.
მოსწავლეთა შეფასების სტრა-ტეგიები		განხორციელდება: ✓ ზეპირი/წერილობითი უკუკავშირი მასწავლებლის/ მშობელთა მიერ. ✓ ზეპირი/წერილობითი თვითშეფასება /ურთიერთშეფასება მოსწავლეთა მიერ .

პროექტის/პროექტის შედეგების შეფასების სტრატეგიები(მიმდინარე და დასკვნითი)	გაწეული მუშაობის **რეფლექსია:** 2023 სასწავლო წლის იანვარ - თებერვალში (4 კვირა) მოსწავლეებს შევთავაზე იდეა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები ხალისით შეხვდნენ ამ ინიციატივას. დავისახეთ მიზანი, ჩამოვაყალიბეთ განსახორციელებელი ამოცანები, დავსახეთ მათი გადაწყვეტის გზები და შევუდექით მის განხორციელებას. შევასრულეთ დაგეგმილი აქტივობები. გაკვეთილებზე და კლასგარეშე მუშაობისას გავეცანით სათანადო მეცნიერულ თუ მხატვრულ ინფორმაციას (იხ.დანართიები), შევქმენით სასწავლო პროდუქტები (პლაკატები, დიორამა, ბოსტნეულის სალათების რეცეპტების წიგნი...) და ჩვენი გამოცდილება გამოფენების სახით გავუზიარეთ სასკოლო საზოგადოებას. სკოლის დერეფანში გამოფენილმა პლაკატმა და დიორამამ „ბებოს ბოსტანი“ ბევრი დამთვალიერებელი მოხიბლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოსტნეულის სალათების რეცეპტების წიგნის შექმნაში ატიურად ჩაებნენ ჩვენი დედიკოები. მათ მიერ მოწვდილი ბოსტნეულის რეცეპტები ბავშვებმა ხალისით აკინძეს წიგნად სათანადო გაფორმებით. პროექტის კულმინაცია იყო ღია კარის დღე, რომელიც გაიმართა მშობელთა მაღალი ჩართულობით. მოსწავლეებმა ჯერ გამართეს კონფერენცია და წარმოადგენეს შეძენილი ცოდნა და შექმნილი სასწავლო პროდუქტები (ინდივიდუალური და საკლასო პოსტერები, დიორამა, ბოსტნეული რეცეპტების წიგნი, საოჯახო მინი-კვლების შედეგები, რაც სახალისო აქტივობებითაც გაალამაზეს (სიმღერა, ლექსი,ინსცენირება, სახალისო სავარჯიშო: იპოვე ბოსტნეული(იხ დანართი 8) მინი -კვლევა, ვის რომელი ბოსტნეული უყვარს? (იხ.დანართები). შემდეგ კი გაიმართა სალათების კონკურსი, სადაც დედიკოებმა წარმოადგინეს ჯანსაღი პროდუქტით დამზადებული და ესთეტიკურად გაფორმებული ბოსტნეულის სალათები. მათ შვილებთნ ერთად ისაუბრეს მისი დამზადების პროცესის შესახებ. კლასის ჟიურიმ კი გამოავლინა ყველაზი ლამაზი სალათის ავტორი დედიკოები (I, II, III ადგილები), მადლობა გადაუხადა და ყველა დედიკო დააჯილდოვა სერტიფიკატით: სუპერ-მზარეული დედიკო! (იხ. დანართები). კონკურსი შემდეგ გამართულ პიკნიკზე, როცა ბავშვებმა დააგემოვნეს ეს უმშვენიერესი სალათები, აღნიშნეს, რომ დედიკოების ხელით დამზადებული სალათები არა მარტო ლამაზია, არამედ გემრიელიცაა და, რაც მთავარია, სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. შთამბეჭდავი იყო თოვლის პაპის „გამოგზავნილი“ კურდღელი, რომელმაც სტაფილო მოართვა პატარებს და ჩვენი ექიმის (ოჯახის ექიმი - თამარ სოლომნიშვილი) ნობათი (ხილი) და საუბარი ვიტამინებზე, რჩევები ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისათვის. ვფიქრობთ, რომ ამ მინი - პროექტით შევძელით დასახული მიზნების მიღწევა: პატარები გაეცნენ ბოსტნეულის სასარგებლო თვისებებს, ამაღლდა მათი ცნობიერების დონე; გააცნობიერეს ბოსტნეულის მნიშვნელობა ჯანსაღი კვებისათვის; გადაწყვიტეს, რომ სხვა ჯანსაღ საკვებთან ერთად ბოსტნეული შეიტანონ საკუთარ კვების რაციონში; შეძენილი ცოდნა გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას; შევძელით მშობელთა მაღალი ჩართულობა; პატარებმა საკუთარი მცირე წვლილი შეიტანეს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და დამკვიდრებაში. განუვითარდათ სხვადასხვა პრაქტიკული, კვლევითი, ფუნქციური უნარები.

	გადავწყვიტეთ, რადგან ძალზე ეფექტური და შთამბეჭდავი გამოგვივიდა აქტივობა „ბოსტნეულის სალათების კონკურსი“ მშობელთა ჩართულობით, მას დავნერგავთ სამომავლოდ ჩვენი სასკოლო კულტურის ტრადიციის სახით.
გამოყენებული რესურსი/ბიუჯეტი	ძირითადი სახელმძღვანელო: ბუნება 1— მაია ბლიაძე; რუსუდან ახვლედიანი. სულაკაურის გამომცემლობა. 2018; მხატვრული ტექსები: მარიამ წიკლაურის „მშიშარა ბოსტნეული“, კობა ჭუმბურიძის „კურდღლების ამბავი“, ელ.წიგნი- „ჭკვიანი ბოცო“ („კარგი სკოლა“ -ს რესურსი . ავტორთა ჯგუფი - ე. გოგაძე ნ. ლომიძე, მ. მამისეიშვილი); მოძიებული მეცნიერული ინფორმაცია (ინტერნეტიდან და სხვა მენიერული ლიტერატურიდან); სხვადასხვა მუსიკალური რესურსები-მაგ., სიმღერა „ვიტამინები“. https://www.youtube.com/watch?v=Svipw_H4BxQ; ფერადი ქაღალდები,თაბახის ფურცლები, ფორმატები, პლასტილინი....
სხვა ადამიანური რესურსი	მშობლები, ჩვენი სოფლის ოჯახის ექიმი.
პროექტის განხორციელებისას არსებული გამოწვევები/შესაძლო რისკები	დროის დეფიციტი მშობლების მხრიდან.
დამატებითი ინფორმაცია, რომელიც პროექტის განხორციელების მხარდაჭერას ემსახურება/ დანართები.	**დანართები** https://drive.google.com/drive/folders/1LVUn4pXGUAGHW76Zfta0YqYn-38vn-yN?usp=sharing

N5. თემა: შევისწავლოთ ანბანი

სკოლა:	**სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა**
საფეხური/კლასი:	**დაწყებითი საფეხური; 1-ლი კლასი**
საგანი/საგნები:	**ქართული ენა და ლიტერატურა**
პროექტის ხელმძღვანელი პედაგოგი/პედაგოგები:	**ხათუნა ბაწელაშვილი**
პროექტის დასახელება	"მოგზაურობა ანბანეთში"
პროექტის განხორციელების დრო	დაახლოებით 20 კვირა (საანბანო პერიოდი: ნოემბერი -მარტი)
პრობლემის/თემის აქტუალობის განსაზღვრა	სკოლაში მოსულ ბავშთა უმრავლესობას აქვს კითხვის გარკვეული გამოცდილება და უნარები (საბავშვო ბაღიდან, ოჯახიდან... იციან, რომ წიგნში ამბავს ნახატებთან ერთად „გვიყვება" უფრო მეტად ნაბეჭდი წიგნები. გაცნობიერებული აქვთ, რომ სიტყვები ბგერებისგან შედგება. დაწერილი სიტყვა - ასოებისგან. ანბანის ასოთა უმეტესობას ცნობენ და კითხვასაც ცდილობენ). საანბანო პერიოდიდან იწყება კითხვის სწავლის რუტინა, რომელიც გამორჩეულად რთული პერიოდია პირველკლასელი მოსწავლის ცხოვრებაში. ამ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ პატარა მკითხველებს სირთულის გადალახვაში. გავუღვივოთ კითხვისადმი ინტერესი, ავუმაღლოთ სწავლის მოტივაცია და უზრუნველვყოთ სასწავლო პროცესში მათი მაღალი ჩართულობა.
მიზნები	1. ესგ-ის შედეგებზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით საანბანო პერიოდში არსებული კითხვის სირთულეების გადალახვა; კითხვისადმი ინტერესის გაღვივება; მოტივაციის ამაღლება; 2. სასწავლო პროცეში მოსწავლეთა, მშობელთა და თანატოლთა ჩართულობის ამაღლება; 3.სხვადასხვა უნარის (ფუნქციური) განვითარება. 4. მდგრადი განვითარების მიზანი: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა ყველასათვის.
კავშირი საგნობრივ სტანდარტებთან /მოსალოდნელი შედეგები	ქართ. დაწყ. (I) (2,4, 6) **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** • გაწაფული კითხვა ტექსტის შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის (2); • სტრატეგიების გამოყენებით, მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულზე რეაგირების, ამბის გადმოცემის)(4); • ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება (6).

		სამიზნე ცნება: დეკოდირება-კოდირება (1-ლი კლასის საანბანო პერიოდისთვის) **ქვეცნება:** სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი • დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი) - ასო, მარცვალი; • ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. **შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები:** **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** • ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება; • სიტყვების/წინადადებების წაკითხვა
ამოცანები		1. სასწავლო პროცესში, გაკვეთილებზე და კლასგარეშე მუშაობისას, მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენება; მრავალფეროვანი, სახალისო, მამოტივირებელი სასწავლო რესურსების (ელ.რესურსი, დიდი და პატარა წიგნები, ბარათები..) შექმნა/ მოძიება გამოყენება (პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, 20 კვირა); 2. სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობების/ ღონისძიებების (გამოფენა, შეხვედრები, კლასგარეშე კითხვა , შინ კითხვა...) განხორციელება (პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, 20 კვირა); 3 . სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის (კომპლექსური დავალება - 10 აკადემიური საათი; გამოფენები- 2 გაკვეთილი პერსონალური გამოფენისთვის; სასკოლო გამოფენისთვის კი - პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდი, რადგან ეტაპობრივად ასო-ბგერათა შესწავლის პარალელურად ივსება ჩვენი გამოფენა); 4. მშობელთა დაინტერესება და ჩართულობის უზრუნველყოფა (პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, 20 კვირა); 5. მონიტორინგის წარმოება (პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, 20 კვირა).
აქტივობები პროექტის ეტაპების მიხედვით	**პროექტის დასაწყისი**	ესგ-ის სტანდარტთან შესაბამისობაში პროექტის შემუშავება (მიზნების დასახვა, განსახორციელებელი ამოცანების და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება)და შეთავაზება მოსწავლეებისათვის.
	მსვლელობა	1. სასწავლო ელ. რესურსის (ელ.წიგნის) შექმნა მასწავლებლის მიერ და გამოყენება გაკვეთილებზე, კომპლექსური დავალება („კ, ლ“ ასოები); 2. „დიდი წიგნის“ კითხვა უფროსკლასელი (მე-4 კლ) თანატოლების მიერ სამოდელო კითხვის ფორმატში - „უფროსკლასელი მეგობარი გვიკითხავს“; (როგორც G-PriEd –ის რესურსები, მოსწავლეების მიერ შექმნილი წიგნები); 3. დამატებითი კითხვა (ი. გოგებაშვილის „დედაენა“; G-PriEd -ის პატარა წიგნები, სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნები); 4. მშობელთა ჩართულობით სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ქართული ანბანის ასოების გამოფენა (სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება); 5. შეხვედრა მე-4 კლასის მოსწავლეებთანა. ანბანის პერსონალური კოლექციების გამოფენა;

		6 . მანიპულატივების დახმარებით ქართული ანბანის ასოების დამზადება-გამოფენის მოწყობა - „ანბანის ქალაქი“ (სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება); 7 . მშობელთა მოწვევა გაკვეთილებზე (პერიოდულად), დავალებები მშობელთა ჩართულობით; 8. დიაგნოსტიკური ტესტირება (სიტყვების წაკითხვა) რამდენჯერმე პროექტის მიმდინარეობისას.
	პროექტის დასასრუ-ლი	1. დიაგნოსტიკური ტესტირება (სიტყვების წაკითხვა) სააბანო პერიოდის ბოლოს. 2. ზაფხულის დავალება
პროექტის განხორციელების შედეგი/საბოლოო პროდუქტი		მოსწავლეები ადვილად გადალახავენ საანბანო პერიოდის კითხვის სირთულეებს. ხალისიანად, თამაშ-თამა-შით, უმტკივნეულოდ შევლენ კითხვის სამყაროში. გაუღვივდებათ კითხვისადმი ინტერესი, აუმაღლდებათ სწავლის მოტივაცია და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხი. შეძლებენ ესგ -ის შედეგებზე (ქართ. დაწყ. (I) (2,4, 6)) გასვლას; შექმნიან შემოქმედებით პროდუქტს კომპლექსური ტიპის დავალების და გამოფე-ნის სახით; განუვითარდათ სხვადასხვა უნარი.
მოსწავლეთა შეფასების სტრა-ტეგიები		მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოყენებულ იქნება: • დაკვირვება მოსწავლის კითხვის (ხმამაღალი, ჩუმი კითხვის, წყვილში, ჯგუფში, ინტერაციული აქტი-ვობის დროს) პროცესზე; • დაკვირვება კითხვის პროცესზე და ჩანიშვნა კომენტარის სახით ან ცხრილში (იხ. დანართი - დაკვირ-ვების ცხრილი); • გამართული კითხვის თვითშეფასების პოსტერი. ზეპირი/წერილობითი უკუკავშირი; • სოლო ტაქსონომია; • დიაგნოსტიკური ტესტირება - სიტყვების წაკითხვა (G-PriEd -ის ტესტები; იხ. დანართი - ტესტის ნი-მუში და ტესტის ინსტრუქცია); • მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება.
პროექტის/პროექტის შედეგე-ბის შეფასების სტრატეგიე-ბი(მიმდინარე და დასკვნითი)		**გაწეული მუშაობის რეფლექსია:** 2021-2022 სასწავლო წლის ნოემბერ-მარტში 1-ლი კლასის მოსწავლეებთან საანბანო პერიოდში განვა-ხორციელე სასაწავლო პროექტი „ მოგზაურობა ანბანეთში“. ესგ-ის სტანდარტის შესაბამისად დავისახე მიზანი, ჩამოვაყალიბე განსახორციელებელი ამოცანები, დავსახე მათი გადაწყვეტის გზები და ჩემს მოს-წავლეებთან ერთად შევუდექი მის განხორციელებას. პირველკლასელებთან მუშაობის საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება მაქვს და არაერთხელ დავრწმუნ-დი, რომ სწავლების პროცესში მათი ყველაზე მთავარი გამოწვევა არის კითხვის სწავლა. ბავშვები სკო-ლაში კითხვის გარკვეული გამოცდილებით მოდიან, სწავლის საკმაოდ მაღალი მოტივაციაც აქვთ, მაგრამ გადავდივართ საანბანო პერიოდზე და ... იწყება გამოკვეთილად რთული პერიოდი მათ ცხოვრებაში - კით-ხვის სწავლის რუტინა. აი, სწორედ ამ ეტაპზე სჭირდებათ მათ დახმარება, რომ ხალისიანად, თამაშ-თამა-შით, უმტკივნეულოდ შევიდნენ კითხვის სამყაროში. ანბანის სწავლების- ასო-ბგერათა სწავლების პირვე-

ლი გაკვეთილები ხომ განსაკუთრებული, შთამბეჭდავი, ემოციური ელფერის მატარებელი უნდა იყოს და მასწავლებელსაც ესაჭიროება მთელი თავისი შემოქმედებითი უნარების, ფანტაზიის და გამოცდილების გამოყენება კითხვის სამყაროში მოსწავლეებთან ერთად სამოგზაუროდ. ამის გათვალისწინებით შევქმენი და გამოვიყენე ელ.რესურსი ასო-ბგერების გაცნობის პირველი ეტაპისათვის. კერძოდ, მოვიგონე ავთენ-ტური ამბავი (დაბალანსებული - ანალიზურ-სინთეზური/ მთელი-ნაწილი-მთელი მიდგომის მიხედვით კითხვის აქტივობა იწყება მთლიანი ავთენტური ტექსტით, რომელიც კონკრეტულ, ბავშვებისათვის საინ-ტერესო ინფორმაციას შეიცავს). ამბავს - ზღაპარს (ფაქტიურად გზადაგზა ვიგონებდი) ვთავაზობდი თავ-დაპირველად Word- ის დოკუმენტის, შემდეგ კი ელექტრონული წიგნის სახით. ვცდილობდი, რომ ჩემ მიერ შექმნილი საკითხავი მასალა შესაბამისობაში ყოფილიყო ხუთი-ექვსი წლის ბავშვის თემატურ ინტერესებ-თან, ყოფით გამოცდილებასთან; ყოფილიყო მცირე ზომის, მარტივი წინდადებებით აგებული, ხშირი და ნაცნობი სიტყვებით შედგენილი, ილუსტრირებული (იხ. დანართი ზღაპარი, დანართი - ელ. წიგნი საანბანო პერიოდისათვის, დანართი - რესურსის რეფლექსია).

პროცესი იყო ძალიან შემოქმედებითი, სახალისო. ჩვენ ყველანი ინტერესეით ველოდით ყოველი ახალი ასო-ბგერათა წყვილის გამოჩენას. ბავშვები დიდი სიხარულით და ოვაციებით ხვდებოდნენ. მაღალი იყო მოტივაცია და ჩართულობის ხარისხი. ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ კითხვის აქტივობებში და შედარე-ბით უმტკივნეულოდ გადადიოდნენ დეკოდირების ნაკლებად სასიამოვნო ვარჯიშებზე.

პროექტის მსვლელობისას ელ. რესურსის ერთ-ერთი ტექსტის („შეხვედრა კ და ლ ასოებთან“) მიხედვით შევასრულეთ კომპლექსური დავალება, რაც ვფიქრობ, ეფექტურად დაგვეხმარა სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების პროცესში.

გაკვეთილებზე და გაკვეთილების შემდგომ პერიოდულად ვიყენებდით „დიდი წიგნის“ კითხვის აქტივო-ბას . G-PriEd -ის „დიდ წიგნებთან“ ერთად ვკითხულობდით ჩემი მოსწავლეების- „წინა პირველკლასელე-ბის“ (2017-2018წ.) მიერ მართული პრაქტიკის დროს შექმნილ ჩვენს საკუთარ „დიდ წიგნებს“. მოწვეული უფროსკლასელი (მე-4 კლ.) თანატოლები პატარებს უკითხავდნენ სამოდელო კითხვის ფორმატში. რასაც შემდეგ ენაცვლებოდა კითხვის სხვა ხერხები (ერთობლივი კითხვა, წყვილებში კითხვა...)

ეფექტური იყო ასევე ი. გოგებაშვილის „დედა ენის“, G-PriEd -ის პატარა საანბანო წიგნების და სასკოლო ბიბლიოთეკიდან საბავშვო ნაწარმოებების კითხვა (შესაბამისი დავალებებით), რომელსაც ვიყენებდით, როგორც გაკვეთილზე ან კლასგარეშე მუშაობის დროს, ასევე შინ კითხვისათვის, საინტერესო დავალებე-ბით მშობელებსაც ვაინტერესებდით. პროექტის მიმდინარეობისას ძალზე სახალისო ატივობა იყო მშო-ბელთა დახმარებით ახალგაცნობილი ასოების დამზადება სხვადასხვა მასალისგან. ლობიოს მარცვლების-გან, გოგრის თესლისგან, მზესუმზირის მარცვლებისგან, გირჩებისგან, ბრინჯისგან, თხილისგან დამზადე-ბული ასოები საოცარი სიყვარულით იყო შესრულებული. ამ ასოებისგან დამზადებულმა გამოფენამ მო-ხიბლა ჩვენი სასკოლო საზოგადოება.

შთამბეჭდავი იყო შეხვედრა მე-4 კლასელ მოსწავლეებთან: რატი პიტიურიშვილთან და დათო მედუ-ლაშვილთან. მათ წარმოადგინეს ქართული ანბანის საკუთარი, საგულდაგულოდ შენახული პერსონალური

	კოლექციები. ძალზე სახალისო გამოგვივიდა მანიპულატივების (კუბების) დახმარებით ქართული ანბანის ასოების დამზადება და გამოფენის მოწყობა. ბავშვებმა გააშენეს „ანბანის ქალაქი“. ეს გამოფენაც გავუზიარეთ სასკოლო საზოგადოებას. პროექტის მიმდინარეობისას შექმნილი იყო ინკლუზიური სასწავლო გარემო. გამოყენებულ იყო ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური მუშაობის ფორმები. გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისად დიფერენცირების ელემენტები. მოსწავლეები ღებულობდნენ სათანადო დახმარებას და უკუკავშირს როგორც მასწავლებლისგან, ისე თანატოლებისგან. ხდებოდა შეფასება და თვითშეფასება შეფასების სხვდასხვა ინსტრუმენტების(გამართული კითხვის თვითშეფასების პოსტერი, ზეპირი/წერილობითი კომენტარი, მიმდინარე და საბოლოო დიაგნოსტიკური ტესტირება (სიტყვების წაკითხვა G-PriEd -ის ტესტების დახმარებით)) საშუალებით. მონაცემთა ანალიზის შედეგები, მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები კი გამოვიყენე ზაფხულის დავალებების დასაგეგმად. ვფიქრობთ, რომ ამ პროექტით შევძელით დასახული მიზნების მიღწევა: პროექტის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები და რესურსები დაგვეხმარა, დაგვეძლია კითხვის სირთულეები. პროცესი იყო სახალისო, საინტერესო, მოსწავლეები ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ კითხვის აქტივობებში და შედარებით უმტკივნეულოდ გადადიოდნენ დეკოდირების სავარჯიშოებზე. მონიტორინგის ჯგუფმა (საგნის მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის კათედრა; დირექცია; მშობლები), რომელიც აკვირდებოდა ჩვენს მუშაობას , დადებითად შეგვიფასა გაწეული მუშაობა. პროექტით მიღებული გამოცდილება გავუზიარე ჩვენი სკოლის პედაგოგებს , დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს-სასწავლო ჯგუფის წევრებს. ხოლო რესურსი გავუზიარე ფართო საზოგადოებას - პედაგოგებს, ლიდერ მასწავლებლებს USAID-ის საბაზისო განათლებლის პროგრამის ფარგლებში და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) საკონსულტაციო საბჭოს მიერ ორგანიზებულ ეროვნულ კონფერენციაზე (24.05.2023), რომელთაგანაც მივიღე დადებითი უკუკავშირი და დაინტერესება.
გამოყენებული რესურსი/ბიუჯეტი	**ძირითადი სახელმძღვანელო:** ქართული ენა 1 — ვ.როდონაია, მ.მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ქ. თოფაძე; მოსწავლეთა ბუკები, პროექტორი, ელ.რესურსები (მასწავლებლის მიერ შექმნილი ელ. წიგნი); სასწავლო რესურსები ელ . პორტალიდან „ კარგი სკოლა“ (G-PriEd -ის დიდი და პატარა წიგნები); მოსწავლეთა მიერ მართული პრაქტიკის დროს შექმნილი „დიდი წიგნები“ ; ი.გოგებაშვილის „დედაენა“; სკოლის ბიბლიოთეკის თუ საოჯახო ბიბლიოთეკის წიგნები; მანიპულატივები, ბარათები... ელ. რესურსის შექმნისას გამოყენებულ იქნა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგის პროგრამის რესურსები. ასევე მასალები http://www.Google.ge–დან (სურათები, სიმღერები (მაგ., https://www.youtube.com/watch?v=xN0PtghD_Tg ; https://www.youtube.com/watch?v=rAbZ-L1ukiA)) და სხვ.
სხვა ადამიანური რესურსი	მშობლები, მე-4 კლასელი თანატოლები

პროექტის განხორციელებისას არსებული გამოწვევები/შესაძ-ლო რისკები	ტექნიკური სირთულეები; მშობელთა ჩართულობის ხარისხი.
დამატებითი ინფორმაცია, რო-მელიც პროექტის განხორციე-ლების მხარდაჭერას ემსახუ-რება/ დანართები.	**დანართები** https://drive.google.com/drive/folders/1AgK_StC74NAjeuVT7rMeX9WJXRn0uGvI?usp=sharing

N6. თემა: ბუნებრივი რესურსების დაცვა

სკოლა:	**სსიპ - ქალაქ თელავის მე-2 საჯარო სკოლა**
საფეხური/კლასი:	**დაწყებითი. მე-2 კლასი**
საგანი/საგნები:	**ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, ქართული**
პროექტის ხელმძღვანელი პედა-გოგი/პედაგოგები:	**ნინო ცისკარიშვილი-მესტვირიშვილი, ნანა ხანჯალიაშვილი, მარინე ხეჩიაშვილი**
პროექტის დასახელება	**„ავადაა დედამიწა“**
პროექტის განხორციელების დრო	ორი კვირა (6 საგაკვეთილო საათი)
პრობლემის/თემის აქტუალობის განსაზღვრა	პრობლემა დღეს არაჯანსაღი ეკოლოგიური გარემოა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ცოცხალ ორ-განიზმებზე და საფრთხეს უქმნის დედამიწის მომავალს. მოსწავლეებმა უნდა დაანახონ საზოგადოებას, რატომაა საჭირო ბუნებრივი რესურსების დაცვა, ეკოლო-გიური გარემოს სისუფთავეზე და ყველა ცოცხალი ორგანიზმის უსაფრთხოებასა თუ დაცვაზე ზრუნვა.
მიზნები	მოსწავლეთათვის ეკოლოგიური საფრთხეების გაცნობა, გამომწვევი მიზეზები, რა ფაქტორები იწვევენ ეკოლოგიურ საფრთხეებს, რა გავლენას ახდენს ეს საფრთხეები ცოცხალ ორგანიზმებზე.
კავშირი საგნობრივ სტანდარ-ტებთან /მოსალოდნელი შედეგე-ბი	**მათ.II.11.** მოსწავლეს შეუძლია თვისებრივი მონაცემების შეგროვება მისი უშუალო გარემოცვის შესა-ხებ.**მათ.II.12** მოსწავლეს შეუძლია თვისებრივი მონაცემების მოწესრიგება. **ბუნ.II.7.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული ბუნებრივი რესურსების დასახელება და მათ მნიშვნელობაზე მსჯელობა. **ქართ. დაწყ. (I). 2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა. **ქართ. დაწყ. (I). 13.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზო-მის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე სხვადასხვა მიზნით. **ბუნ.II. შედეგი თვალსაჩინოა,** თუ მოსწავლე: მოიძიებს ინფორმაციას, ვარაუდობს, რა შეიძლება მოხდეს ბუნებრივი რესურსების ამოწურვის შემთხვევაში; • უზიარებს თანაკლასელებს საკუთარ გამოცდილებას, თუ როგორ იცავს ან/და ზოგავს ბუნებრივ რესურსებს; • მსჯელობს, რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს მდინარის/ტყის საყოფაცხოვრებო და სხვა ტიპის ნარჩენებით დაბინძურებამ. **ქართ.დაწყ. (I). შედეგი თვალსაჩინოა,** თუ მოსწავლე: მოსმენილი ინფორმაციის ან ნანახი ფაქტების შე-სახებ თანაკლასელებს შთაბეჭდილებას გაუზიარებს; ამის საფუძველზე კი შექმნის საინფორმაციო ხასია-თის მცირე ზომის ტექსტს.

		1. მონაწილეები დაამზადებენ პოსტერებს მათ მიერ მოძიებული მასალის საფუძველზე, წარმოადგენენ წერილებს (გზავნილს თანატოლებისათვის) **(ქართული) ;** 2. პოსტერებზე იქნება ინგლისური წარწერები **(ინგლისური**); 3. სასკოლო საზოგადოებაში წარადგენენ პოსტერებს და მათ მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, არსებულ საფრთხეებზე ისაუბრებენ **(ბუნება);** 4. მოახდენენ მოძიებული მასალის კლსიფიკაციას და ჩაატარებენ შესაბამის გამოთვლებს **(მათემატიკა);** 5. მიღებული დასკვნების საფუძველზე დასახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.
ამოცანები		**ამოცანა N1:** ექსკურსია რომელიმე ახლომდებარე საწარმოში და ნარჩენების მართვაზე დაკვირვება, ექსკურსია ახლომდებარე ტყეში, სკოლის გარშემო ტერიტორიის დათვალიერება და გარემოზე დაკვირვება (პირველი კვირა); **ამოცანა N2:** ინფორმაციის მოძიება იზრდება თუ მატულობს საფრთხე (პირველი კვირის ერთი გაკვეთილი); **ამოცანა N3.** პოსტერების, წერილების და სვეტოვანი დიაგრამის აგება; **ამოცანა N4.** პრეზენტაცია, ნერგების დარგვა და შემაჯამებელი აქტივობა (მეორე კვირის ერთი გაკვეთილი).
აქტივობები პროექტის ეტაპების მიხედვით	**პროექტის დასაწყისი**	მოსწავლეები დავყავით 3 ჯგუფად, **ერთმა ჯგუფმა** მოიძია ინფორმაცია ეკოლოგიური საფრთხეების შესახებ, **მე-2 ჯგუფი** - მატულობს, თუ კლებულობს საფრთხე, **მე-3 ჯგუფმა -** მოიძია გამომწვევი მიზეზები.
	მსვლელობა	მოსწავლეები სტუმრად იყვნენ ახლომდებარე ყველის საწარმოში, სადაც ადგილზე გაეცნენ წარმოების და ნარჩენების გადამუშავების პრინციპებს. ასევე ესტუმრნენ ახლომდებარე ტყეს და დააკვირდნენ მცენარეებს, აღმოაჩინეს ახალგაზრდა გაჩეხილი ნერგები, დაზიანებული მცენარეები და ამის საფუძველზე თავიანთი თვალით დანახული წერილები დაწერეს ტყის წუხილის შესახებ. ინფორმაციის მოძიების და პრობლემმის გაცნობის შედეგად, ჩამოყალიბდა სადისკუსიო კითხვები: 1. რა მიზანი აქვს ჩვენს ექსკურსიას? 2. რატომაა სახიფათო დედამიწისთვის გამონაბოლქვი და ნარჩენები? 3. რა უპირატესობა აქვს ტყეს ქალაქთან შედარებით? 4. როგორ თვლით შესაძლებელია თუ არა, რომ დედამიწა გამოჯანმრთელდეს? 5. თქვენ რას გააკეთებთ იმისთვის, რომ დედამიწის დაავადების პროცესი შეჩერდეს? დაამზადეს საინფორმაციო პოსტერები, წერილები (სადაც ასახული იყო ტყის წუხილი, მოსწავლეთა თვალით დანახული) და ააგეს დიაგრამა (რა რაოდენობის ჯანსაღი და ნაკლებად ჯანსაღი პროდუქტი მზადდება საწარმოში) გამართეს პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოების წინაშე.
	პროექტის დასასრული	წარმოადგინეს პროექტის შეჯამება პრეზენტაციის სახით.

პროექტის განხორციელების შედეგი/საბოლოო პროდუქტი	საინფორმაციო პოსტერები, წერილები, სვეტოვანი დიაგრამა.
მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიები	მოსწავლეთა შეფასება მოხდა ჯგუფურად, განმავითარებელი შეფასების საშუალებით. **პროექტის შეფასების რუბრიკა**

კრიტერიუმები	**დაბალი**	**საშუალო**	**საშუალოზე მაღალი**	**მაღალი**
• სვეტოვანი დიაგრამის აგება	ჯგუფმა ვერ შეძლო კვლევის შედეგების აღრიცხვა და სვეტოვანი დიაგრამის აგება	ჯგუფმა მოახერხა კვლევის შედეგების აღრიცხვა, მაგრამ ვერ შეძლო დიაგრამის აგება	ჯგუფმა მოახერხა კვლევის შედეგების სწორად აღრიცხვა და ააგო დიაგრამა, თუმცა ვერ დაიცვა დიაგრამის აგების წესი	ჯგუფმა მოახერხა კვლევის შედეგების სწორად აღრიცხვა და ააგო დიაგრამა, სწორად დაიცვა დიაგრამის აგების წესი
• წერილის დაწერა	ჯგუფმა ვერ მოახერხა წერილის დაწერა	ჯგუფმა დაწერა წერილი თუმცა დაშვებულია 10 შეცდომა. ლექსიკა გაუმართავია	ჯგუფმა დაწერა წერილი თუმცა დაშვებულია 5-6 შეცდომა ლექსიკა გამართულია	ჯგუფმა დაწერა წერილი - დაშვებულია მაქსიმუმ 3 შეცდომა ლექსიკა გამართულია.
• საინფორმაციო პოსტერების დამზადება	ჯგუფმა ვერ შეძლო საინფორმაციო პოსტერის დამზადება	ჯგუფმა მოახერხა საინფორმაციო პოსტერის დამზადება, თუმცა მასზე დატანილი ინფორმაცია მწირია, დატანილია მხოლოდ საფრთხეები და არაფერია გდაჭრის გზებ-	ჯგუფმა მოახერხა საინფორმაციო პოსტერის დამზადება, თუმცა მასზე დატანილი ინფორმაცია მწირია, დატანილია მხოლოდ საფრთხეები და გდაჭრის გზებზე ინფორმაცია	ჯგუფმა მოახერხა საინფორმაციო პოსტერის დამზადება, თუმცა მასზე დატანილი ინფორმაცია მწირია, დატანილია მოსალოდნელი საფრთხეები გდაჭრის გზებზე ინფორმაცია

			ზე საკუთარი დაკ-ვირვებიდან გა-მომდინარე	მწირია საკუთარი დაკ-ვირვებიდან გა-მომდინარე	ნათლად და მკა-ფიოდაა გამოკ-ვეთილი საკუთა-რი დაკვირვები-დან გამომდინა-რე
	• პროექ-ტის პრე-ზენტა-ცია	ვერ შეძლეს პრეზენტირება, შინაარსის გად-მოცემა.	ვერ შეძლეს ში-ნაარსის გამარ-თულად გადმო-ცემა	შეძლეს შინაარ-სის გადმოცემა, თუმცა მეტყვე-ლება დასახვე-წია	შეძლეს პრე-ზენტირება, შინაარსის გა-მართულად გადმოცემა

პროექტის/პროექტის შედეგების შეფასების სტრატეგიები(მიმდი-ნარე და დასკვნითი)	პროექტის შედეგები შევაფასეთ გამოკითხვის საშუალებით პრეზენტაციის დროს, თუ რამდენად იქნა გაგებული პრობლემის გლობალურობა და როგორ უნდა მოვიქცეთ პრობლემის გადასაჭრელად, რას გა-ვაკეთებთ ამისთვის და როგორ შევცვლით საზოგადოების ცნობიერებას, სასიკეთოდ. ინფორმაციის გაცნობის შედეგად სასკოლო საზოგადოებამ ნათლად ჩამოაყალიბა პრობლემის აქტუა-ლება და მოსწავლეთა მიერ შეთავაზებულ გადაჭრის გზებზე გამოთქვა მზაობა. შემოგვთავაზა დახმარე-ბა უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე პრობლემის გაცნობისა და გადაჭრის გზებზე ინფორმაციის გავ-რცელებაზე.
გამოყენებული რესურსი/ბიუჯე-ტი	კომპიუტერი, პროექტორი, დამხმარე ლიტერატურა. მცენარის ნერგები. ინტერნეტრესურსები. https://youtu.be/lpnUZbt2k9U https://youtu.be/WTRt0qTA67o https://youtu.be/1_cQlo8I_Dw
სხვა ადამიანური რესურსი	მშობლები, სასკოლო საზოგადოება
პროექტის განხორციელებისას არსებული გამოწვევები/შესაძ-ლო რისკები	რისკები: საჭირო რესურსის არ ქონა, ექსკურსიის ვერ განხორციელება ტრანსპორტის არ ქონის გამო.
დამატებითი ინფორმაცია, რომე-ლიც პროექტის განხორციელების მხარდაჭერას ემსახურება/ და-ნართები.	პროექტი იყო ნაკლებ ბიუჯეტური, სასწავლო, მცირე კონტიგენტიანი, შესაძლოა, გახდეს უფრო გლობალუ-რი, საზოგადოების დიდი ნაწილის ჩართულობით, მოხდეს გასვლითი აქტივობები საჯარო სკოლებში, დაწე-სებულებებში, ქუჩებში, რათა შეიცვალოს საზოგადოების ცნობიერება და მოხდეს მათი ინფორმირება.

N7. თემა : ბუნებრივი რესურსებიც დაცვა

სკოლა:	**სსიპ - ქალაქ თელავის მე-2 საჯარო სკოლა**
საფეხური/კლასი:	**დაწყებითი. მე-3 კლასი**
საგანი/საგნები:	**ბუნებისმეტყველება, მათემატიკა.**
პროექტის ხელმძღვანელი პედა-გოგი/პედაგოგები:	**ნინო ცისკარიშვილი-მესტვირიშვილი**
პროექტის დასახელება	„შეამოწმე შენი ეკოლოგიური ნაკვალევი“
პროექტის განხორციელების დრო	ორი კვირა
პრობლემის/თემის აქტუალობის განსაზღვრა	პრობლემაა გლობალური დათბობის პირობებში რესურსების არაეფექტიანი გამოყენება ხელს უწყობს პროცესის დაჩქარებას, ასევე ნარჩენები საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს პლანეტას, მნიშვნელოვა-ნია მათი მაქსიმალურად ხელახლა მოხმარება და გამოყენება, რესურსების დაზოგვა და ეფექტურად გამო-ყენება. მოსწავლეებმა უნდა დაანახონ საზოგადოებას, რატომაა საჭირო და აუცილებელი ბუნებრივი რესურსების დაცვა და მათი რაციონალური გამოყენება.
მიზნები	მოსწავლეებმა დაიწყონ მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება ყოველდღიურ ცხოვრება-ში და გააცნობიერონ მდგრადი განვითარების პრინციპების მნიშვნელობა. **მდგრადი განვითარების მე-12 მიზანი - „მდგრადი მოხმარების და წარმოების უზრუნველყოფა“** (მო-სახლეობამ იცოდეს ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების შესახებ, გაიზარდოს ნარჩენების ეფექტიანი გა-მოყენება,)
კავშირი საგნობრივ სტანდარტებ-თან /მოსალოდნელი შედეგები	**მათ.II.11.** მოსწავლეს შეუძლია თვისებრივი მონაცემების შეგროვება მისი უშუალო გარემოცვის შესახებ. **მათ.II.12** მოსწავლეს შეუძლია თვისებრივი მონაცემების მოწესრიგება. **ბუნ.III. 7.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული ბუნებრივი რესურსების დასახელება და მათ მნიშვნელობაზე მსჯელობა. **შედეგი თვალსაჩინოა,** **1.** თუ მოსწავლეები იმსჯელებენ ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, ახსნიან გლობა-ლურ პრობლემას და იმსჯელებენ მათი მოგვარების გზებზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში იმოქმედებენ მდგრადი განვითარების პრინციპებით. 2. სასკოლო საზოგადოებაში მოახდენენ ბუკლეტების პრეზენტაციას და მათ მიერ მოძიებული ინფორმა-ციის საფუძველზე არსებული საფრთხეებზე ისაუბრებენ (**ბუნება)** 3. მოახდენენ მოძიებული მასალის კლასიფიკაციას და ჩაატარებენ შესაბამის გამოთვლებს (**მათემატიკა).**

		4. მიღებული დასკვნების საფუძველზე დასახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.
ამოცანები.		**ამოცანა N1:** პროექტის და პრობლემის გაცნობა.. (ერთი საგაკვეთილო საათი); **ამოცანა N2:** კითხვარის შევსება სახელწოდებით „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“ (იხ. ლინკი https://docs.google.com/document/d/16dKVLcMRCrm5pIRVOCI7Ua5vq0_iXJcI/edit?usp=sharing&ouid=115873419045049468152&rtpof=true&sd=true); **ამოცანა N3:** საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება (ერთი საგაკვეთილო საათი); **ამოცანა N4 :** პრეზენტაცია, შემაჯამებელი აქტივობა, ბუკლეტების დარიგება სასკოლო საზოგადოებაში. (ერთი საგაკვეთილო საათი).
აქტივობები პროექტის ეტაპების მიხედვით	**პროექტის დასაწყისი**	პრობლემის გაცნობა, პროექტის ინიციატივის გაჩენა მოსწავლეებში.
	მსვლელობა	• კითხვარის მომზადება და შევსება, • ინფორმაციის მოძიება, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება. • საინფორმაციო ვიდეორგოლის მომზადება
	პროექტის დასასრული	საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება და პრეზენტაცია
პროექტის განხორციელების შედეგი/საბოლოო პროდუქტი		საინფორმაციო ბუკლეტები და ვიდეორგოლი
მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიები		შეფასება ინდივიდუალური - განმავითარებელი (შესაძლოა იყოს ჯგუფურიც)შეფასების რუბრიკის ლინკი https://docs.google.com/document/d/1zqp5Z1vZ0VckTQZgWw0g3mbEhzIS_H-m/edit#heading=h.gjdgxs

პროექტის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**დაბალი**	**საშუალო**	**საშუალოზე მაღალი**	**მაღალი**
• კითხვარის შევსება და ქულების სწორად დათვლა	კითხვარის რვა კომპონენტიდან შეავსო 1-2 კომპონენტი და დავალების შესაბამისად და მხოლოდ ამ კომპონენტით დაითვალა	კითხვარის რვა კომპონენტიდან შეავსო 3-4 კომპონენტი და დავალების შესაბამისად მხოლოდ ამ კომპონენტით დაითვალა	კითხვარის რვა კომპონენტიდან შეავსო 5-6 კომპონენტი და დავალების შესაბამისად მხოლოდ ამ კომპონენტით დაითვალა	კითხვარის რვა კომპონენტიდან შეავსო 7-8 კომპონენტი და დავალების შესაბამისად მხოლოდ ამ კომპონენტით დაითვალა
• ბუკლეტის დამზადება	შეძლო მხოლოდ ბუკლეტის ფორმატის დამზადება, თუმცა ინფორმაცია ვერ შეიტანა	შეძლო ბუკლეტის ფორმატის დამზადება, ინფორმაცია კი თავისი შევსებული კითხვარის (3-4 კითხვის პასუხის მიხედვით) შეიტანა	შეძლო ბუკლეტის ფორმატის დამზადაება, ინფორმაცია თავისი შევსებული კითხვარის(5-6 პასუხის) მიხედვით შეიტანა	შეძლო ბუკლეტის ფორმატის დამზდება, ინფორმაცია თავისი შევსებული -კითხვარის (7-8 პასუხის) მიხედვით შეიტანა
• ვიდეორგოლში მონაწილეობა - პრეზენტაცია	ვიდეორგოლის ჩაწერისას ვერ შეძლო ტექსტის გადმოცემა	ვიდეორგოლის ჩაწერისას ვერ შეძლო ტექსტის გამართულად გადმოცემა	ვიდეორგოლის ჩაწერისას შეძლო ტექსტის გადმოცემა , თუმცა მეტყველება დასახვეწია	ვიდეორგოლის ჩაწერისას შეძლო ტექსტის გამართულად გადმოცემა და იმეტყველა სწორად.

პროექტის/პროექტის შედეგების შეფასების სტრატეგიები(მიმდინარე და დასკვნითი)	**პროექტის შედეგები შევაფასეთ განმეორებით კითხვარის საშუალებით. საინფორმაციო ბუკლეტი. პრეზენტაცია.**
გამოყენებული რესურსი/ბიუჯეტი	კითხვარი, თაბახის ფურცლები, ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები.

სხვა ადამიანური რესურსი	სასკოლო საზოგადოება, მშობლები.
პროექტის განხორციელებისას არსებული გამოწვევები/შესაძლო რისკები	გამოწვევები: მშობლების პასიური ჩართულობა
დამატებითი ინფორმაცია, რომელიც პროექტის განხორციელების მხარდაჭერას ემსახურება/ დანართები.	ინტერნეტ რესურსები არსებული პრობლემების და პრობლემებით გამოწვეული რისკების შესახებ, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. საბავშვო ვიდეო „გლობალური დათბობა და საფრთხეები“ https://youtu.be/dT1XGl2BxM0?si=7tCPHgY7ZBCv8Yyk

ჩემი მოსაზრებები

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-907-3